# სააქციო საზოგადოება ბითიეი ბანკი

**ფინანსური ანგარიშგება**
2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

# სააქციო საზოგადოება ბითიეი ბანკი

## სარჩევი


| | გვერდი |
|---|---|
| ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე | 1 |
| დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა | 2-3 |
| ფინანსური ანგარიშგება 2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის: | |
| მოგება-ზარალის ანგარიში | 4 |
| სხვა სრული მოგება-ზარალის ანგარიში | 5 |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიში | 6 |
| კაპიტალში ცვლილებების ანგარიში | 7 |
| ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში | 8-9 |
| ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები | 10-77 |

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სააქციო საზოგადოება ბითიეი ბანკის („ბანკი") ფინანსურ მდგომარეობას 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს") შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკების ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, და სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე; და
- ბანკის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების  პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ბანკში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ბანკის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ბანკის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ბანკის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2012 წლის 4 მაისს.

**დირექტორთა საბჭოს სახელით:**

**გენერალური დირექტორი**
**კაირატ კენჟეგარინი**

*4 მაისი, 2012*
*თბილისი, საქართველო*

**მთავარი ბუღალტერი**
**ნატალია მოდრეკელიძე**

*4 მაისი, 2012*
*თბილისი, საქართველო*

## დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სააქციო საზოგადოება ბითიეი ბანკის აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს:

*დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ*

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება ბითიეი ბანკის („ბანკი") თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალის, სხვა სრული მოგება-ზარალის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშებს 2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის და ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

*ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე*

ბანკის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და შიდა კონტროლის სისტემის უზრუნველყოფაზე, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ მიიჩნევა აუცილებლად ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

*აუდიტორის პასუხისმგებლობა*

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. ამ რისკების შეფასებისას არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა ბანკის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული დაშვებების შესაფერისობისა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

# სააქციო საზოგადოება ბითიეი ბანკი

*დასკვნა*

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

*საყურადღებო საკითხი*

კვალიფიკაციის მიცემის გარეშე ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 29-ე შენიშვნაზე, რომელიც ამჟღავნებს ბანკის საფინანსო საქმიანობის მნიშვნელოვან კონცენტრაციას დაკავშირებულ მხარეებთან.

*სხვა საკითხი*

ბანკის ფინანსური ანგარიშგება 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის შემოწმებულ იქნა სხვა აუდიტორის მიერ, რომელმაც გამოხატა მოდიფიცირებული მოსაზრება 2011 წლის 13 მაისს გამოცემულ ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

*4 მაისი 2012*
*თბილისი, საქართველო*

# სააქციო საზოგადოება ბითიეი ბანკი

## მოგება-ზარალის ანგარიში
## 2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
*(ათასობით ლარში)*

| | შენიშვნა | 2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის | 2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის |
|---|---|---|---|
| საპროცენტო შემოსავალი | 5, 29 | 12,144 | 12,405 |
| საპროცენტო ხარჯი | 5, 29 | (6,393) | (7,725) |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ხარჯის აღდგენამდე | | 5,751 | 4,680 |
| საპროცენტო შემოსავლების მქონე აქტივების გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ხარჯის აღდგენა | 6 | 2,606 | 3,673 |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი | | 8,357 | 8,353 |
| წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე | 7 | 986 | 1,024 |
| საკომისიო შემოსავლები | 8 | 1,252 | 1,224 |
| საკომისიო ხარჯები | 8 | (190) | (285) |
| სხვა ოპერაციების გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ხარჯი | 6 | - | (101) |
| სხვა შემოსავლები | 9 | 1,639 | 529 |
| წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი | | 3,687 | 2,391 |
| საოპერაციო შემოსავალი | | 12,044 | 10,744 |
| საოპერაციო ხარჯები | 10, 29 | (11,510) | (11,921) |
| მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე | | 534 | (1,177) |
| მოგების გადასახადის ხარჯი | 11 | (53) | (521) |
| მოგება/(ზარალი) პერიოდისთვის | | 481 | (1,698) |

**დირექტორთა საბჭოს სახელით:**

**გენერალური დირექტორი**
**კაირატ კენჟეგარინი**

*4 მაისი, 2012*
*თბილისი, საქართველო*

**მთავარი ბუღალტერი**
**ნატალია მოდრეკელიძე**

*4 მაისი, 2012*
*თბილისი, საქართველო*

10-77 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

# სააქციო საზოგადოება ბითიეი ბანკი

## სხვა სრული მოგება-ზარალის ანგარიში
## 2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
*(ათასობით ლარში)*

| | შენიშვნა | 2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის | 2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის |
|---|---|---|---|
| წმინდა მოგება/(ზარალი) პერიოდისთვის | | 481 | (1,698) |
| სხვა სრული (ზარალი)/მოგება | | | |
| წმინდა (ზარალი)/მოგება, რომელიც წარმოიშვა ქონების გადაფასებიდან | 17 | (833) | 226 |
| სხვა სრული მოგება-ზარალის ანგარიშის კომპონენტებთან დაკავშირებული მოგების გადასახადი | 11 | 125 | (33) |
| სხვა სრული (ზარალი)/მოგება მოგების გადასახადის შემდეგ | | (708) | 193 |
| **სულ სრული ზარალი** | | **(227)** | **(1,505)** |

**დირექტორთა საბჭოს სახელით:**

| | |
|---|---|
| ______________________ | ______________________ |
| **გენერალური დირექტორი** | **მთავარი ბუღალტერი** |
| **კაირატ კენჟეგარინი** | **ნატალია მოდრეკელიძე** |
| *4 მაისი, 2012* | *4 მაისი, 2012* |
| *თბილისი, საქართველო* | *თბილისი, საქართველო* |

10-77 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

# სააქციო საზოგადოება ბითიეი ბანკი

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
## 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
*(ათასობით ლარში)*

| | შენიშვნა | დეკემბერი 31, 2011 | დეკემბერი 31, 2010 | იანვარი 1, 2010 |
|---|---|---|---|---|
| **აქტივები:** | | | | |
| ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 12 | 7,266 | 5,826 | 15,655 |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | 13, 29 | 5,024 | 15,230 | 3,561 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 14, 29 | 71,804 | 48,221 | 82,427 |
| გასაყიდად არსებული ინვესტიციები | 15 | - | 40 | 40 |
| დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები | 16 | 3,533 | 4,371 | - |
| ძირითადი საშუალებები | 17 | 20,876 | 22,509 | 23,999 |
| საინვესტიციო ქონება | 18 | 2,645 | 2,034 | 2,194 |
| მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივები | | 198 | 198 | 198 |
| არამატერიალური აქტივები | 19 | 592 | 593 | 703 |
| სხვა აქტივები | 20 | 2,083 | 1,544 | 2,986 |
| | | 114,021 | 100,566 | 131,763 |
| გასაყიდად ფლობილი აქტივები: | | | | |
| გირაოში დარჩენილი ქონება | 21 | 8,067 | 7,895 | 8,338 |
| სულ აქტივები | | 122,088 | 108,461 | 140,101 |
| **ვალდებულებები და კაპიტალი:** | | | | |
| ვალდებულებები: | | | | |
| ვალდებულებები ბანკების მიმართ | 22, 29 | 6,420 | 906 | 6 |
| ვალდებულებები კლიენტების მიმართ | 23, 29 | 27,236 | 19,947 | 58,321 |
| სხვა ნასესხები სახსრები | 24, 29 | 49,047 | 48,038 | 41,530 |
| გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება | 11 | 1,614 | 1,686 | 1,132 |
| სხვა ვალდებულებები | 25 | 908 | 639 | 494 |
| სუბორდინირებული სესხი | 26, 29 | 2,528 | 2,683 | 2,551 |
| სულ ვალდებულებები | | 87,753 | 73,899 | 104,034 |
| კაპიტალი: | | | | |
| სააქციო კაპიტალი | 27 | 30,000 | 30,000 | 30,000 |
| ქონების გადაფასების რეზერვი | | 4,757 | 5,579 | 5,500 |
| (დაგროვილი ზარალი)/ გაუნაწილებელი მოგება | | (422) | (1,017) | 567 |
| სულ კაპიტალი | | 34,335 | 34,562 | 36,067 |
| **სულ ვალდებულებები და კაპიტალი** | | **122,088** | **108,461** | **140,101** |

**დირექტორთა საბჭოს სახელით:**

| | |
|---|---|
| **გენერალური დირექტორი** | **მთავარი ბუღალტერი** |
| **კაირატ კენჟეგარინი** | **ნატალია მოდრეკელიძე** |
| *4 მაისი, 2012* | *4 მაისი, 2012* |
| *თბილისი, საქართველო* | *თბილისი, საქართველო* |

10-77 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

# სააქციო საზოგადოება ბითიეი ბანკი

## კაპიტალში ცვლილებების ანგარიში
## 2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
*(ათასობით ლარში)*

| | შენიშვნა | სააქციო კაპიტალი | ქონების გადაფასების რეზერვი | (დაგროვილი ზარალი) /გაუნაწილებელი მოგება | სულ კაპიტალი |
|---|---|---|---|---|---|
| **იანვარი 1, 2010** | | 30,000 | 5,500 | 567 | 36,067 |
| სხვა სრული მოგება წლისათვის, დაბეგვრის შემდგომ | | - | 193 | - | 193 |
| წლის ზარალი | | - | - | (1,698) | (1,698) |
| გადაფასების რეზერვის ცვეთა | | | (114) | 114 | - |
| **დეკემბერი 31, 2010** | | 30,000 | 5,579 | (1,017) | 34,562 |
| სხვა სრული ზარალი წლისათვის, დაბეგვრის შემდგომ | | - | (708) | | (708) |
| წლის მოგება | | - | | 481 | 481 |
| გადაფასების რეზერვის ცვეთა | | - | (114) | 114 | - |
| **დეკემბერი 31, 2011** | | 30,000 | 4,757 | (422) | 34,335 |

**დირექტორთა საბჭოს სახელით:**

| | |
|---|---|
| გენერალური დირექტორი | მთავარი ბუღალტერი |
| კაირატ კენჟეგარინი | ნატალია მოდრეკელიძე |
| *4 მაისი, 2012* | *4 მაისი, 2012* |
| *თბილისი, საქართველო* | *თბილისი, საქართველო* |

10-77 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## სააქციო საზოგადოება ბითიეი ბანკი

### ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
### 2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
*(ათასობით ლარში)*

| | 2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებუ-ლი წლისათვის | 2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებუ-ლი წლისათვის |
|---|---|---|
| **ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:** | | |
| მიღებული პროცენტი | 12,248 | 15,272 |
| გადახდილი პროცენტი | (1,883) | (6,538) |
| მიღებული საკომისიო შემოსავლები | 1,252 | 1,224 |
| გადახდილი საკომისიო ხარჯები | (190) | (285) |
| წმინდა რეალიზებული მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე | 1,330 | 1,289 |
| სხვა მიღებული შემოსავლები | 816 | 429 |
| გადახდილი საოპერაციო ხარჯები | (11,044) | (8,832) |
| საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე | 2,529 | 2,559 |
| ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში | | |
| (ზრდა)/კლება საოპერაციო აქტივებში: | | |
| მინიმალური სავალდებულო დეპოზიტი საქართველოს ეროვნულ ბანკში | (102) | (284) |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | 5,347 | (5,320) |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | (21,712) | 34,339 |
| სხვა აქტივები | (223) | 415 |
| ზრდა/(კლება) საოპერაციო ვალდებულებებში: | | |
| ვალდებულებები ბანკების მიმართ | 5,512 | 900 |
| ვალდებულებები კლიენტების მიმართ | 6,994 | (35,822) |
| სხვა ვალდებულებები | 110 | 92 |
| ფულადი სახსრების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან, დაბეგვრამდე | (1,545) | (3,121) |
| გადახდილი მოგების გადასახადი | - | - |
| ფულადი სახსრების წმინდა გადინება საოპერაციო საქმიანობიდან | (1,545) | (3,121) |
| **ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან:** | | |
| ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესყიდვა | (1,090) | (64) |
| შემოსავლები ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან | 1,051 | 56 |
| საინვესტიციო ქონების შესყიდვა | (1,196) | (810) |
| საინვესტიციო ქონების გაყიდვით მიღებული შემოსავლები | 566 | 1,070 |
| გირაოში დარჩენილი აქტივების შესყიდვა | (2,618) | - |
| გირაოში დარჩენილი აქტივების გაყიდვით მიღებული შემოსავალი | 1,433 | - |
| დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების შესყიდვა | (3,165) | (4,369) |
| დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების გაყიდვით მიღებული შემოსავალი | 4,070 | - |
| ფულადი სახსრების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან | (949) | (4,117) |

## ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
## 2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
*(ათასობით ლარში)*

| | შენიშვნა | 2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებუ-ლი წლისათვის | 2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებუ-ლი წლისათვის |
|---|---|---|---|
| **ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან:** | | | |
| აქციონერების სესხებისგან მიღებული შემოსავალი | | - | 3,709 |
| ფულადი სახსრების წმინდა შემოდინება საფინანსო საქმიანობიდან | | - | 3,709 |
| უცხოურ ვალუტაში ფლობილი ფულადი სახსრების ნაშთებზე გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი | | (997) | (265) |
| წმინდა კლება ფულსა და ფულის ექვივალენტებში | | (3,491) | (3,794) |
| ფული და ფულის ექვივალენტები, წლის დასაწყისში | 12 | 12,843 | 16,637 |
| ფული და ფულის ექვივალენტები, წლის ბოლოს | 12 | 9,352 | 12,843 |

**დირექტორთა საბჭოს სახელით:**

| | |
|---|---|
| გენერალური დირექტორი | მთავარი ბუღალტერი |
| კაირატ კენჟეგარინი | ნატალია მოდრეკელიძე |
| *4 მაისი, 2012* | *4 მაისი, 2012* |
| *თბილისი, საქართველო* | *თბილისი, საქართველო* |

10-77 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## 1. ორგანიზაცია

სს ბითიეი ბანკი საქართველო („ბანკი“) არის სააქციო საზოგადოება, რომელიც საქართველოში რეგისტრირებულია 2000 წლის 27 იანვარს, ორი ქართული ბანკის გაერთიანების შედეგად: სს ექსპორტ-იმპორტ ბანკი და სს დისქაუნთ ბანკი. ბანკი დაარსებულია სახელწოდებით სს სილქ როუდ ბანკი. 2003 წლის 30 მაისს ბანკმა შეიძინა სს იეი ბანკის აქტივები და ვალდებულებები. 2005 წლის 23 სექტემბერს, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს ნომერი 2/5-98 გადაწყვეტილების შესაბამისად, ბანკის აქციონერები შეიცვალნენ, ბანკსაც შეეცვალა სახელი და ეწოდა სს ბითიეი სილქ როუდ ბანკი. 2008 წელს მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის № 176 ბრძანების შესაბამისად, ბანკს შეეცვალა სახელი და ეწოდა სს ბითიეი ბანკი.

ბანკის საქმიანობას არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი („სებ“). ბანკი საკუთარ საქმიანობას ახორციელებს საბანკო საქმიანობის 13/03/2001, #238 გენერალური ლიცენზიის საფუძველზე. ბანკის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კომერციული საქმიანობა, უცხოური ვალუტით ვაჭრობა, სესხებისა და გარანტიების გაცემა და დეპოზიტების მოზიდვა.

ბანკის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ზაარბრუკენის მოედანი № 2.

2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს აქვს სათაო ოფისი და ექვსი სერვის ცენტრი თბილისში, ერთი სერვის ცენტრი ფოთში და ერთი ფილიალი ბათუმში.

2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის აქციონერებს წარმოადგენდნენ:

| | დეკემბერი 31, 2011 | დეკემბერი 31, 2010 |
|---|---|---|
| **პირველი დონის აქციონერები:** | | |
| სილქ როუდ საფინანსო ჯგუფი (საქართველო) | 50.99% | 50.99% |
| სს ბითიეი ბანკი (ყაზახეთი) | 49.00% | 49.00% |
| ფიზიკური პირები | 0.01% | 0.01% |
| **სულ** | **100%** | **100%** |
| **საბოლოო მაკონტროლებელი მხარეები:** | | |
| გიორგი რამიშვილი (საქართველოს რეზიდენტი) | 50.99% | 50.99% |
| ყაზახეთის მთავრობა | 49.00% | 49.00% |
| ფიზიკური პირები | 0.01% | 0.01% |
| **სულ** | **100%** | **100%** |

ფინანსური ანგარიშგება ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2012 წლის 4 მაისს.

## 2. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები

**შესაბამისობის ანგარიში**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ("ბასსს") მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა ("ფასს") და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის ("ფაისკ") მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

**წარდგენის კრიტერიუმის სხვა საფუძვლები**

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის გათვალისწინებით, რომ ბანკი წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და ახლო მომავალში გააგრძელებს მუშაობას. ხელმძღვანელობასა და აქციონერებს გადაწყვეტილი აქვთ განავითარონ ბანკის ბიზნესი საქართველოში როგორც საცალო, ასევე კორპორატიულ ბიზნეს სეგმენტში. ბანკის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი მართებულია ბანკისათვის კაპიტალის ადექვატურობის კოეფიციენტიდან გამომდინარე და მოკლევადიან ვალდებულებებთან მიმართებაში არსებული ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით, რომლებიც დამატებით დაფინანსდება ჩვეული საქმიანობის პროცესში.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათასობით ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე, გარდა შენობებისა და სხვა უძრავი ქონების, გირაოში დარჩენილი აქტივების, საინვესტიციო ქონების და გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების, რომლებიც გადაფასებული თანხებით ან რეალური ღირებულებით არის შეფასებული, რომელიც განმარტებულია ქვემოთ მოცემულ პოლიტიკებში. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება აქტივების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

ბანკი, რომელიც დარეგისტრირებულია საქართველოში ახორციელებს მის ბუღალტრულ საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობისა და ფასს-ის შესაბამისად.

ბანკი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს წარადგენს ლიკვიდობის მიხედვით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში (მიმდინარე) ან 12 თვეზე მეტი დროის განმავლობაში (გრძელვადიანი) აღდგენის ან ანგარიშსწორების ანალიზი წარმოდგენილია 32-ე შენიშვნაში.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები იქვითება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბანკს აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების გაქვითვა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. ბანკი მოგება-ზარალის ანგარიშში არ ქვითავს შემოსავლებსა და ხარჯებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაქვითვა მოითხოვება რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით და შესაბამისად ასახულია ბანკის ბუღალტრულ პოლიტიკაში.

ქვემოთ წარმოდგენილია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები.

**საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება**

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით და აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი, წარმოადგენს მეთოდს, რომელიც ეფუძნება ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივებისა ან ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზირებულ ღირებულებას და რომლის საშუალებით საპროცენტო შემოსავალი, ან ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების (ყველა მიღებული, ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტების ჩათვლით) დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში.

მას შემდეგ, რაც ფინანსური აქტივი, ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფი ჩამოიწერება (ნაწილობრივ ჩამოიწერება) გაუფასურების შედეგად მიღებული დანაკარგების გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება იმ საპროცენტო განაკვეთით ხორციელდება, რომელიც გაუფასურების დანაკარგების დადგენის მიზნით მოსალოდნელი ფულადი სახსრების დისკონტირებისათვის გამოიყენება.

**სხვა შემოსავლების აღიარება**

<u>საკომისიო შემოსავლების აღიარება</u>

სესხის საკომისიო გადასახადი ექვემდებარება გადავადებას მასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად და კორექტირდება სესხის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე. სადაც შესაძლებელია რომ სასესხო ვალდებულებამ წარმოშვას კონკრეტული სასესხო ხელშეკრულების გაფორმება, სასესხო ვალდებულების საკომისიო გადავადდება დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად და კორექტირდება სესხის ეფექტურ ამონაგებზე. სადაც შეუძლებელია რომ სასესხო ვალდებულებამ წარმოშვას კონკრეტული სასესხო ხელშეკრულების გაფორმება, სასესხო ვალდებულების საკომისიოს აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში სასესხო ვალდებულების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში. როდესაც სასესხო ვალდებულების ხელშეკრულების ვადა იწურება ყველანაირი სასესხო ხელშეკრულების გაფორმების გარეშე, სასესხო ვალდებულების საკომისიოს აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში ვადის ამოწურვის დღეს. ყველა სხვა საკომისიოს აღიარება ხდება მომსახურების გაწევისას.

<u>საიჯარო შემოსავლის აღიარება</u>

ბანკის, როგორც იჯარის გამცემის, შემოსავლის აღიარების პოლიტიკა აღწერილია მოცემული შენიშვნის “ლიზინგის” ქვეთავში.

**ფინანსური ინსტრუმენტები**

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ასახვა ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ხდება მაშინ, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეგულარული ხასიათის შესყიდვისა და გაყიდვის აღიარება ხორციელდება ანგარიშსწორების თარიღის მდგომარეობით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხორციელდება რეალური ღირებულებით. გარიგების ღირებულება, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვას და გამოშვებას (მოგებასა და ზარალში რეალური ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა) ემატება, ან აკლდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებას თავდაპირველი აღიარებისას.

**ფინანსური აქტივები**

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად: "დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები", "გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები" და "სესხები და მოთხოვნები". კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივების სპეციფიკასა და დანიშნულებაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

<u>დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები</u>

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები წარმოადგენს არადერივატიულ ფინანსურ აქტივებს განსაზღვრადი ან ფიქსირებული გადახდებით. ბანკს აქვს განზრახვა და შესაძლებლობა შეინახოს აღნიშნული ფასიანი ქაღალდები დაფარვის ვადის დადგომამდე. ასეთი ფასიანი ქაღალდების ასახვა ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდზე დაფუძნებული ამორტიზებული ღირებულებით, გაუფასურების დანაკარგების რეზერვის გამოკლებით.

იმ შემთხვევაში თუ ბანკი იძულებული იქნება დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები (გამონაკლისი სპეციფიური გარემობების გარდა) დაფარვის ვადამდე გაყიდოს, ან მოახდინოს მათი რეკლასიფიკაცია, ამას მთელ კატეგორიაზე ექნება გავლენა და საჭირო გახდება მათი რეკლასიფიკაცია გასაყიდად არსებულად. უფრო მეტიც, შემდეგი ორი წლის განმავლობაში ბანკს აეკრძალება ნებისმიერი ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების სახით.

<u>გასაყიდად არსებული ინვესტიციები</u>

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები წარმოადგენს არადერივატიულ აქტივებს, რომლებიც ან გასაყიდად არის გამიზნული, ან არ კლასიფიცირდება როგორც (ა) სესხები და მოთხოვნები, (ბ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები.

ბანკს გააჩნია ინვესტიციები, რომლებიც არაა კოტირებული აქტიურ ბაზარზე მაგრამ კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები და წარმოდგენილია თვითღირებულებით გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით თითოეული ანგარიშგების პერიოდის დასარულისათვის, ვინაიდან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მათი რეალური ღირებულების განსაზღვრა ვერ ხერხდება.

<u>სესხები და მოთხოვნები</u>

სესხები და სხვა მოთხოვნები განსაზღვრული ან ფიქსირებული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული მოქმედ ბაზარზე, კლასიფიცირდება როგორც „სესხები და მოთხოვნები". სესხები და მოთხოვნები გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარებას ექვემდებარება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გარდა იმ მოკლევადიანი მოთხოვნების პროცენტისა, რომელიც არ არის არსებითი.

<u>ფინანსური აქტივების გაუფასურება</u>

ფინანსური აქტივების გაუფასურების საფუძვლის შეფასება ხდება ანგარიშგების თითოეული პერიოდის ბოლოსათვის. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება, როდესაც ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ არსებობს იმის ობიექტური საფუძველი, რომ ერთი, ან რამდენიმე გარემოება გავლენას ახდენს ფინანსური აქტივებიდან მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინებაზე.

ბანკის ფინანსური აქტივებისთვის გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლები მოიცავს:

- გამომშვების, ან კონტრაგენტის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს; ან
- ხელშეკრულების დარღვევას, რაც გულისხმობს პროცენტის, ან ძირითადი თანხის გადახდისუუნარობას, ან თავის არიდებას; ან
- პროცენტის, ან ძირითადი თანხის გადაუხდელობას; ან
- მსესხებლის გაკოტრებას, ან ფინანსურ რეორგანიზაციას; ან
- ფინანსური სირთულეების გამო ფინანსური აქტივის მოქმედი ბაზრის გაუქმებას.

ფინანსური აქტივების გარკვეული კატეგორიის შემთხვევაში, მაგალითად როგორიცაა სესხები და მოთხოვნები, აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად არ არ არის გაუფასურებული, დამატებით ფასდება ჯგუფური გაუფასურების თვალსაზრისით. სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური საფუძველი მოიცავს ბანკის წარსულ გამოცდილებას გადახდებთან მიმართებაში, პორტფელში ვადაგადაცილებული გადახდების რაოდენობის ზრდასა და ეროვნული, ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების თვალსაჩინო ცვლილებებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია მოთხოვნების ამოუღებლობასთან.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის.

თვითღირებულებით ასახული ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების რეზერვი განისაზღვრება როგორც სხვაობა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მსგავსი ფინანსური აქტივების უკუგების მიმდინარე საბაზრო განაკვეთით დისკონტირებულ მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის. ასეთი გაუფასურების რეზერვი არ ექვემდებარება კორექტირებას მომავალ პერიოდებში.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების დანაკარგებით გარდა სესხებისა და მოთხოვნებისა, სადაც საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების ანგარიშის გამოყენებით. როდესაც სესხის, ან მოთხოვნის ამოღების შესაძლებლობა ამოწურულია იგი ჩამოიწერება სარეზერვო ანგარიშის გამოყენებით. წინათ ჩამოწერილი შესაბამისი თანხების აღდგენა დაკრედიტდება სარეზერვო ანგარიშზე. გაუფასურების რეზერვის საბალანსო ღირებულების ანგარიშის ცვლილება აისახება მოგებასა და ზარალში.

<u>სესხები, რომელთა პირობები შეიცვალა</u>

სადაც შესაძლებელია ბანკი ცდილობს უზრუნველყოფის დასაკუთრების მაგივრად მოახდინოს სესხის რესტრუქტურიზაცია. ეს შეიძლება მოიცავდეს გადახდის გრაფიკის გაზრდასა და ახალი სესხის პირობებზე შეთანხმებას. პირობების შეცვლის შემდეგ ნებისმიერი გაუფასურება ფასდება თავდაპირველი საპროცენტო გადაკვეთის გამოყენებით, როგორც გამოითვლებოდა პირობების მოდიფიკაციამდე და სესხი აღარ ითვლება გადავადებულად. ხელმძღვანელობა მუდმივად განიხილავს სესხებს რომელთა პირობები შეიცვალა, რათა უზრუნველყოს კრიტერიუმებთან შესაბამისობა და მომავალში გადახდების დაწყება. სესხები კვლავ ექვემდებარება ინდივიდუალურ ან ჯგუფურ შეფასებას გაუფასურების თვალსაზრისით, რაც გამოითვლება სესხის თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით.

იმ შემთხვევაში, თუ ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურების დანაკარგების თანხის შემცირება აღიარების მომდევნო პერიოდში ობიექტურად შეიძლება დაუკავშირდეს გაუფასურების აღიარების შემდგომ მოვლენებს, თავდაპირველად აღიარებული გაუფასურების დანაკარგები კორექტირდება მოგებასა და ზარალში იმ ოდენობით, რომ ინვესტიციების საბალანსო ღირებულებამ გაუფასურების რეზერვის კორექტირების თარიღისათვის არ გადააჭარბოს იმ ამორტიზებულ ღირებულებას, რომელიც იქნებოდა გაუფასურების არ აღიარების შემთხვევაში.

<u>სესხების და ავანსების ჩამოწერა</u>

სესხებისა და ავანსების ამოღების შეუძლებლობის შემთხვევაში, მათი ჩამოწერა ხდება სესხების გაუფასურების დანაკარგის რეზერვის გამოყენებით. სესხები და ავანსები ექვემდებარება ჩამოწერას იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელობამ ამოწურა ბანკების მიმართ მოთხოვნების ამოღების ყველა შესაძლებლობა და მოახდინა ყველა შესაძლო უზრუნველყოფის რეალიზება. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების აღდგენა ხდება ფინანსური აქტივების გაუფასურების გაქვითვით, და აისახება სრული მოგება-ზარალის ანგარიშში აღდგენის პერიოდში.

<u>ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა</u>

ფინანსური აქტივის (ან სადაც შეესაბამება ფინანსური აქტივების ნაწილის, ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარება შეწყდება, როდესაც:

- აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლების ვადა ამოიწურა;
- ბანკმა აქტივებიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება გადასცა, ან უფლება დაიტოვა, მაგრამ აიღო ვალდებულება „გადაცემის წესის" საფუძველზე სრულად გადაუხადოს მესამე მხარეს მნიშვნელოვანი დაგვიანებების გარეშე; და

- ბანკმა ან (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა ძირითადი რისკი და შემოსავლები, ან (ბ) არ გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველანაირი მნიშვნელოვანი რისკები და შემოსავლები, თუმცა გადასცა აქტივებზე კონტროლის უფლება.

ფინანსური აქტივის აღიარება შეწყდება, როდესაც იგი იქნება გადაცემული და გადაცემა აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტას. აქტივი გადაცემულად ჩაითვლება, როდესაც ბანკი ან: (ა) გადასცემს აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების კონტრაქტით გათვალისწინებულ უფლებას, ან (ბ) დაიტოვებს უფლებას, მაგრამ აიღებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას გადაუხადოს მესამე მხარეს აქტივიდან შემომავალი ფულადი სახსრები. გადაცემის შემდეგ ბანკი აფასებს გადაცემული აქტივის ფლობის შენარჩუნებულ რისკებსა და შემოსავლებს. თუ ძირითადი შემოსავლები და რისკები შენარჩუნებულია ბანკის მიერ, მაშინ აქტივი რჩება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. თუ ძირითადად შემოსავლები და რისკები გადაეცემა მესამე მხარეს, მაშინ ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა. თუ ძირითადად ყველა რისკი და შემოსავალი არც გადაეცა და არც შენარჩუნდა, ბანკი აფასებს რამდენად შეინარჩუნა აქტივზე კონტროლი. იმ შემთხვევაში თუ კონტროლი არ შენარჩუნდა, აქტივის აღიარება წყდება. იმ შემთხვევებში, სადაც აქტივის კონტროლი შენარჩუნებულია ბანკის მიერ, იგი აგრძელებს აქტივის აღიარებას მისი უწყვეტი მონაწილეობის გათვალისწინებით.

**ფინანსური ვალდებულებები და გამოშვებული კაპიტალის ინსტრუმენტები**

*კლასიფიკაცია სესხის ან კაპიტალის სახით*

სესხისა და კაპიტალის ინსტრუმენტები კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები ან კაპიტალი კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების არსისა და ფინანსური ვალდებულების და კაპიტალის ინსტრუმენტის განმარტებიდან გამომდინარე.

*კაპიტალის ინსტრუმენტები*

კაპიტალის ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს ბანკის აქტივებში წმინდა წილს, ყველა ვალდებულების გაქვითვის შემდეგ. ბანკის მიერ გამოშვებული კაპიტალის ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებული შემოსავლების თანხის ოდენობით, გამოშვების ხარჯების გამოკლებით.

*ფინანსური ვალდებულებები*

ფინანსური ვადლებულებები დაჯგუფებულია, როგორც ვალდებულებები ბანკების მიმართ, ვალდებულებები კლიენტების მიმართ, სხვა ნასესხები სახსრები, სუბორდინირებული სესხი და სხვა ფინანსური ვალდებულებები.

ფინანსური ვადლებულებები რომლებიც დაჯგუფებულია როგორც ვალდებულებები ბანკების მიმართ, ვალდებულებები კლიენტების მიმართ, სხვა ნასესხები სახსრები, სუბორდინირებული სესხი და სხვა ფინანსური ვალდეულებები თავდაპირველად აისახება რეალური ღირებულებით გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. სხვა ფინანსური ვალდებულებების შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით საპროცენტო ხარჯის აღიარების პარალელურად ეფექტური მოგების საფუძველზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი, წარმოადგენს მეთოდს, რომელიც ეფუძნება ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებას და რომლის საშუალებით საპროცენტო ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში (სადაც მართებულია), ან თუ მისაღებია, უფრო მოკლე ვადაში.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, გაუქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება, ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

**ფინანსური გარანტიის კონტრაქტები**

ფინანსური გარანტიის კონტრაქტი წარმოადგენს კონტრაქტს, რომელიც ითვალისწინებს გადახდას კომპენსაციის სახით, იმ შემთხვევაში, თუ დებიტორი სასესხო ინსტრუმენტის თავდაპირველი, ან მოდიფიცირებული პირობების შესაბამისად ვერ შეძლებს დროულად გადახდას.

ფინანსური გარანტიის კონტრაქტები თავდაპირველ აღიარებას ექვემდებარება რეალური ღირებულებით შესაბამისად ფასდება მეტი თანხით შემდეგ თანხებს შორის:

- თანხა, რომელიც აღიარებულია ანარიცხების სახით, ბასს 37 „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები"-ს შესაბამისად; და
- თავდაპირველად აღიარებული ღირებულებით, ფინანსური გარანტიებიდან ან აკრედიტივებიდან, ან პრემიის სახით მომავალში მისაღები შემოსავლების დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით შემოსავლების აღიარების პოლიტიკის საფუძველზე.

**ფული და ფულის ექვივალენტები**

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, თავისუფალ სახსრებს საკორესპონდენტო და ვადიან სადეპოზიტო ანგარიშებზე საქართველოს ეროვნულ ბანკში და ბანკებზე გაცემულ ავანსებს 90 დღემდე დაფარვის საწყისი ვადით, რომელთა კონვერტაცია ფულად სახსრებად შესაძლებელია მოკლე ვადაში და რომლებიც ითვლება ლიკვიდურად, გარდა პლასტიკური ბარათებით ოპერაციებისთვის განკუთვნილი საგარანტიო დეპოზიტებისა,.

ფულადი სახსრების მოძრაობის განსაზღვრის მიზნით, საქართველოს ეროვნულ ბანკში მინიმალური სავალდებულო დეპოზიტის გამოყენების შეზღუდვის გამო იგი არ განეკუთვნება ფულსა და ფულის ექვივალენტებს.

**ლიზინგი**

ლიზინგი კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ლიზინგი, როდესაც ლიზინგის პირობების თანახმად მეიჯარეს ფლობის უფლებასთან ერთად გადაეცემა მასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი. ყველა დანარჩენი ლიზინგი კლასიფიკაცირდება, როგორც საოპერაციო ლიზინგი.

ბანკი, როგორც იჯარის გამცემი

საიჯარო შემოსავალი საოპერაციო ლიზინგიდან აღიარდება წრფივი მეთოდით შესაბამისი ლიზინგის პერიოდის განმავლობაში. თავდაპირველი პირდაპირი ხარჯები, რომლებიც საოპერაციო ლიზინგზე მოლაპარაკებებისა და ორგანიზების შედეგად წარმოიშვა, ემატება ლიზინგით გაცემული აქტივების საბალანსო ღირებულებას და აღიარებას ექვემდებარება წრფივი მეთოდით ლიზინგის პერიოდის განმავლობაში.

ბანკი, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადასახადები იჯარის პერიოდის განმავლობაში წრფივი მეთოდის გამოყენებით აღიარდება ხარჯად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სისტემური საფუძველი უფრო უკეთ ასახავს დროის იმ მონაკვეთს, რა პერიოდშიც მოიხმარება იჯარით აღებული აქტივის ეკონომიკური სარგებელი. საოპერაციო იჯარიდან წარმოშობილი პირობითი გადასახადები აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც ისინი წარმოიშობა.

**ძირითადი საშუალებები**

ძირითასი საშუალებების საწყისი ღირებულება შეფასებულია მისი შესყიდვის ფაქტიური ხარჯების საფუძველზე, რაც მოიცავს აუნაზღაურებელ შესყიდვის გადასახადებს და მისი სამუშაო მდგომარეობაში მოყვანისა და ადგილზე მიტანის სხვა პირდაპირ ხარჯებს. საწყისი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებები, შენობებისა და სხვა უძრავი ქონების გამოკლებით, წარმოდგენილია ისტორიული ღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების გამოკლებით.

შენობები, რომლებიც გამოიყენება საქონლისა და მომსახურების წარმოებისა და მიწოდებისათვის, ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის, გადაფასებული ღირებულებითაა მოცემული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში, რომელიც წარმოადგენს გადაფასების თარიღისათვის რეალურ ღირებულებას შემდგომი დაგროვილი ამორტიზაციისაა და დანაკარგების გამოკლებით. გადაფასება ხორციელდება საკმარისი სიხშირით ისე, რომ საბალანსო ღირებულება მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული რეალური ღირებულებისაგან.

ასეთი შენობებისა და სხვა უძრავი ქონების გადაფასების შედეგად გაზრდილი ღირებულება აღირიცხება სხვა სრულ მოგებასა და ზარალში და გროვდება კაპიტალში, გარდა იმ შემთხვევისა თუკი ის ამცირებს წინა პერიოდებში აღიარებულ გადაფასების შედეგად მიღებულ ხარჯებს. ასეთ შემთხვევაში, ზრდა აღირიცხება მოგებასა და ზარალში წინა პერიოდში აღიარებული ხარჯების ოდენობით. შენობებისა და სხვა უძრავი ქონების გადაფასების შედეგად გამოწვეული საბალანსო ღირებულების შემცირება მოგებასა და ზარალში აღირიცხება წინა პერიოდში წარმოშობილი ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის ანგარიშის გაზრდილი თანხით.

ცვეთის აღიარება ხორციელდება აქტივების ხარჯების ან შეფასების ჩამოწერის მიზნით ნარჩენი ღირებულების გამოკლებით მათი სასარგებლო მოხმარების პერიოდზე წრფივი მეთოდის გამოყენებით. აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადის, ნარჩენი ღირებულებისა და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა ხორციელდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის დაშვებებში ნებისმიერი ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით შემდეგი წლიური განაკვეთების გამოყენებით:

| | |
|---|---|
| შენობები და სხვა უძრავი ქონება | 2% |
| ავეჯი და მოწყობილობები | 10%-25% |
| კომპიუტერები და საოფისე მოწყობილობა | 25% |
| ტრანსპორტი | 20% |
| სხვა | 10%-25% |

გადაფასებული შენობების ცვეთა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშში. გადაფასებული ძირითადი საშუალებების შემდგომი მოხმარების, რეალიზაციისა და ჩამოწერისას გადაფასების ნარჩენი ღირებულება, რომელიც გადაფასების რეზერვში რჩება პირდაპირ აისახება გაუნაწილებელ მოგებაში. რეალიზებული ნარჩენი ღირებულების თანხა წარმოადგენს სხვაობას აქტივის გადაფასებულ ნარჩენ ღირებულებაზე დაფუძნებულ ცვეთასა და აქტივის ისტორიულ ღირებულებაზე დაფუძნებულ ცვეთას შორის. გადაფასებული ძირითადი საშუალებების შემდგომი გაყიდვისას, რეალიზაციისა და ჩამოწერისას გადაფასების ნარჩენი ღირებულება, რომელიც გადაფასების რეზერვში რჩება პირდაპირ აისახება გაუნაწილებელ მოგებაში.

იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების გაუმჯობესების ცვეთა ითვლება მათთან დაკავშირებული იჯარით აღებული აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდის მიხედვით. რემონტისა და გაუმჯობესების ხარჯები აისახება გაწევისთანავე და მიეკუთვნება საოპერაციო ხარჯებს ან ექვემდებარება კაპიტალიზაციას თუ არსებობს ამის საკმარისი საფუძველი.

ძირითადი საშუალებები ჩამოიწერება გაყიდვისას ან როდესაც არ ივარაუდება მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის უწყვეტი გამოყენებისას. ნებისმიერი მოგება ან ზარალი წარმოიქმნება საკუთრების, შენობა-ნაგებობების და აღჭურვილობის გადაცემისას და განისაზღვრება როგორც სხვაობა გაყიდვების შემოსავალსა და აქტივის ახლანდელ მოცულობას შორის და აღიარებულია მოგებასა და ზარალში.

შენობებისა და სხვა უძრავი ქონების გადაფასებული ღირებულება შემდეგი სამი მეთოდით ფასდება:

- შეფარდებითი გაყიდვის მეთოდი, რომელიც მოიცავს მსგავსი უძრავი ქონების საბაზრო გასაყიდი ფასების ანალიზს;
- შემოსავალზე დამყარებული მეთოდი, რომელიც აფასებს პირდაპირ დამოკიდებულებას უძრავი ქონებით გენერირებულ შემოსავლებსა და საბაზრო ღირებულებას შორის;
- ღირებულებაზე დამყარებული მიდგომა, რომელიც უძრავი ქონების ღირებულებას ითვალისწინებს მისი აღდგენითი ღირებულების შესაბამისად ცვეთის ხარჯების გამოკლებით.

**არამატერიალური აქტივები**

ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები

ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები, განსაზღვრული მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის საფუძველზე მათი ექსპლუატაციის ვადის მიხედვით. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადის და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა ხორციელდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის დაშვებებში ნებისმიერი ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით.

| | |
|---|---|
| არამატერიალური აქტივები | 15% |

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა

არამატერიალური აქტივი ჩამოიწერება რეალიზაციისას, ან იმ შემთხვევაში თუ მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად არ ივარაუდება მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. არამატერიალური აქტივის ჩამოწერით მიღებული მოგება ან ზარალი წარმოადგენს სხვაობას რეალიზაციის შედეგად მიღებულ წმინდა ფულად სახსრებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, რომელიც აისახება მოგებასა და ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

**გასაყიდად კლასიფიცირებული აქტივები**

ბანკი ახდენს გრძელვადიანი აქტივების (ან სარეალიზაციო ჯგუფის) კლასიფცირდებას როგორც გასაყიდად არსებულის, თუ არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ აქტივების საბალანსო ღირებულება აღდგება გაყიდვის გარიგების შედეგად და არა აქტივის გამოყენების გაგრძელების შედეგად. ამისთვის აუცილებელია, რომ გრძელვადიანი აქტივების (ან სარეალიზაციო ჯგუფის) გაყიდვა შესაძლებელი იყოს დაუყოვნებლივ მათ არსებულ მდგომარეობაში, განსახილველია მხოლოდ ის პირობები, რომლებიც დამახასიათებელია ასეთი აქტივების (ან სარეალიზაციო ჯგუფის) გადსაყიდად, მათი გაყიდვა კი სავსებით სავარაუდოა.

გაყიდვა სავსებით სავარაუდოა, თუ ბანკის ხელმძვანელობას გააჩნია მომზადებული გეგმა გრძელვადიანი აქტივების (ან სარეალიზაციო ჯგუფის) გასაყიდად და წამოწყებულია მყიდველის პოვნისა და გეგმის შესრულების აქტიური პროგრამა. გარდა ამისა, გრძელვადიანი აქტივები (ან სარეალიზაციო ჯგუფი) აქტიურად უნდა იყოს წარმოდგენილი ბაზარზე გასაყიდად, გონივრულ ფასად მის რეალურ ღირებულებასთან მიმართებაში, და, ამასთანავე, გაყიდვა უნდა იქნას აღიარებული, როგორც სრული გაყიდვა ერთი წლის განმავლობაში, გრძელვადიანი აქტივების (ან სარეალიზაციო ჯგუფის) გასაყიდად კლასიფიცირების დღიდან.

ბანკის მიერ გასაყიდად კლასიფიცირებული აქტივები (ან სარეალიზაციო ჯგუფი) ფასდება შემდეგ ღირებულებებს შორის უმცირესით: საბალანსო ღირებულება და რეალური ღირებულება გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ბანკი აღიარებს გაუფასურების დანაკარგს აქტივების (ან სარეალიზაციო ჯგუფის) ნებისმიერი პირველადი ან მომდევნო ჩამოწერისთვის რეალურ ღირებულებამდე გაყიდვის ხარჯების გამოკლებით, თუ მოვლენები და გარემოებათა ცვლილებები მიგვითითებს, რომ მათი საბალანსო ღირებულება შესაძლებელია გაუფასურებულ იქნეს.

**არაფინანსური აქტივების გაუფასურება გარდა გუდვილისა**

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ბანკი განიხილავს მატერიალურ და არამატერიალურ აქტივებს, ამ აქტივების გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლების გამოვლენის მიზნით. ასეთი მაჩვენებლის არსებობის შემთხვევაში, აქტივის აღდგენითი ღირებულება ფასდება გაუფასურების მასშტაბების განსაზღვრისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში). იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის აღდგენითი ღირებულების დადგენა ბანკი განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების გენერირების ერთეულის აღდგენით ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება აქტივი. განაწილების მართებული და თანმიმდევრული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში კორპორატიული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების გენერირების ინდივიდუალურ ერთეულებზე, ან ამ ერთეულების უფრო პატარა ჯგუფებზე, რომელთა მართებული განაწილების საფუძველი არსებობს.

აღდგენითი ღირებულება არის რეალურ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები და გამოყენებით ღირებულებას შორის უმეტესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას მომავალში მისაღები ფულადი ნაკადები დისკონტირებას ექვემდებარება დღევანდელ ღირებულებამდე გადასახადამდე არსებული საპროცენტო განაკვეთით, რომელიც ასახავს არსებული ბაზრის შეფასებას ფულის ღირებულებით დროში და ითვალისწინებს აქტივისათვის დამახასიათებელ რისკებს, რომელთა საფუძველზე მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების კორექტირება არ განხორციელებულა.

იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ფულის გენერირების ერთეული) აღდგენითი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ფულის გენერირების ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების დანაკარგები აღიარებას ექვემდებარება მოგებასა და ზარალში, თუ შესაბამისი აქტივი არ არის წარმოდგენილი გადაფასებული ღირებულებით. ასეთ შემთხვევაში გაუფასურების დანაკარგები აისახება, როგორც შემცირება გადაფასების შედეგად.

გაუფასურების გაუქმების შემთხვევაში აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება გაუქმებული თანხით ისე, რომ გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს ნარჩენ ღირებულებას, რომლის აღიარებას ადგილი ექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) გაუფასურების დანაკარგების აღიარება არ განხორციელდებოდა. გაუფასურების დანაკარგების გაუქმება დაუყოვნებლივ აისახება მოგებასა და ზარალში, თუ შესაბამისი აქტივი არ აისახება გადაფასებული ღირებულებით. ასეთ შემთხვევაში გაუფასურების დანაკარგების აღდგენა განიხილება როგორც გადაფასების ზრდა.

**საინვესტიციო ქონება**

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელიც გამოიყენება გასაქირავებლად. საინვესტიციო ქონება თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით გარიგების ღირებულების ჩათვლით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ საინვესტიციო ქონება ფასდება რეალური ღირებულებით. საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილებით გამოწვეული მოგება და ზარალი შედის იმ პერიოდის მოგებასა ან ზარალში, რომელშიც ისინი წარმოიქმნება.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება გასხვისებისას ან როცა საინვესტიციო ქონება სრულიად ამოღებულია ხმარებიდან და არანაირი ეკონომიკური სარგებელი არ არის მოსალოდნელი მისი გასხვისებიდან. ქონების აღიარების შეწყვეტისას წარმოქმნილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც სხვაობა გასხვისების წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) შედის იმ პერიოდის მოგებასა ან ზარალში, რომელშიც ქონების აღიარება წყდება.

**გადასახადები**

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯების ჯამს.

<u>მიმდინარე გადასახადი</u>

მიმდინარე გადასახადის ხარჯი გამოითვლება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება წმინდა მოგებისაგან, რომელიც ასახულია სრული მოგება-ზარალის ანგარიშში, ვინაიდან ის არ მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების იმ ნაწილს, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას წინა წლებში და აგრეთვე იმ ხარჯებს, რომელიც საერთოდ არ ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას. ბანკის მიმდინარე გადასახადის ხარჯი გაანგარიშებულია იმ საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოქმედებდა ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

<u>გადავადებული გადასახადი</u>

გადავადებული გადასახადი არის გადასახდელი ან გასაქვითი გადასახადი, რომელიც მოსალოდნელია წარმოიქმნას ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების და ვალდებულებების ნარჩენ ღირებულებათა შორის სხვაობაზე შესაბამის დასაბეგრ ბაზაზე, რომელიც გამოიყენება დასაბეგრი მოგების გაანგარიშებისათვის და აისახება ვალდებულების მეთოდის გამოყენებით. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები ჩვეულებრივ აღიარებას ექვემდებარება ყველა დროებითი სხვაობისათვის, ხოლო გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებას ექვემდებარება იმდენად, რამდენადაც არსებობს საფუძვლიანი მოლოდინი იმისა, რომ იარსებებს დასაბეგრი მოგება, რომელსაც გამოაკლდება გამოსაქვითი დროებითი სხვაობა. აქტივების და ვალდებულებების აღიარება არ ხდება, თუ დროებითი განსხვავება გამოწვეულია აქტივების და ვალდებულებების პირველადი აღიარებით იმ ოპერაციებში (საწარმოთა გაერთიანების გარდა), რომელიც ზემოქმედებას არ ახდენს როგორც საგადასახადო მოგებაზე ასევე ბუღალტრულ მოგებაზე.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები აღიარებას ექვემდებარება დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რაც თავს იჩენს ძირითად საშუალებებში, არამატერიალურ აქტივებში და კლიენტებზე გაცემულ სესხებში, იმ შემთხვევის გამოკლებით, როდესაც ბანკი აკონტროლებს ცვლილებას და ახლო მომავალში ამ დროებითი სხვაობის რეზერვის წარმოქმნა არ არის ნავარაუდევი. ამგვარ ინვესტიციებთან დაკავშირებული გამოსაქვითი დროებითი სხვაობებიდან წარმოქმნილი გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებას ექვემდებარება, თუ საგადასახადო მოგება დროებითი სხვაობის მოგების უტილიზაციისათვის სავარაუდოდ საკმარისი იქნება და ახლო მომავალში ამ დროებითი სხვაობის რეზერვის წარმოქმნა ივარაუდება.

გადავადებული საგადასახადო აქტივების საბალანსო ღირებულება ექვემდებარება გადახედვას ყოველი ანგარიშგების პერიოდისათვის და მცირდება იმდენად, რამდენადაც აღარ არსებობს საკმარისი დასაბეგრი მოგების მოლოდინი, რომელიც გამოყენებული იქნება ყველა აქტივის ან აქტივების ნაწილის აღსადგენად.

გადავადებული გადასახადის აქტივები და ვალდებულებები იანგარიშება იმ საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოსალოდნელია ვალდებულების გასტუმრების ან აქტივის რეალიზების პერიოდისათვის იმ საგადასახადო განაკვეთის საფუძველზე (საგადასახადო კანონმდებლობა), რომელიც ძალაში შევიდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებებისა და აქტივების შეფასება ასახავს საგადასახადო შედეგებს, რომლებიც მოყვება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ბანკის მიერ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების აღდგენას, ან დაფარვას.

<u>მიმდინარე და გადავადებული გადასახადები</u>

მიმდინარე და გადავადებული გადასახადები აისახება მოგებასა და ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის დაკავშირებულია უშუალოდ კაპიტალთან. ასეთ შემთხვევაში მიმდინარე და გადავადებული გადასახადები ასევე აისახება შესაბამისად სხვა სრულ მოგება-ზარალში, ან პირდაპირ კაპიტალში.

<u>საოპერაციო გადასახადები</u>

საქართველოს ასევე გააჩნია სხვა გადასახადები, რომლებიც განისაზღვრება ბანკის საქმიანობიდან გამომდინარე. ეს გადასახადები სრული მოგება-ზარალის ანგარიშში აისახება როგორც საოპერაციო ხარჯების ნაწილი.

**რეზერვები**

რეზერვების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკს აქვს მიმდინარე (იურიდიული ან პირობითი) ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვა წარსული მოვლენების შედეგად და რომელთა დაფარვისათვის შესაძლებელია საჭირო გახდეს ეკონომიკური სარგებლის მატარებელი რესურსების გადინება და აღნიშნული ვალდებულების შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით.

რეზერვებად აღიარებული თანხა წარმოადგენს ანაზღაურების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭიროა ვალდებულების დასაფარად ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის შედგენის თარიღისათვის ვალდებულების გარშემო რისკებისა და უზუსტობების არსებობის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ რეზერვი გამოითვლება ფულადი სახსრების მოძრაობიდან მათი საბალანსო ღირებულება წარმოადგენს ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულებას (სადაც არსებითია ფულის ღირებულება დროში).

იმ შემთხვევაში თუ მოსალოდნელია, რომ ყველა ეკონომიკური სარგებელი, რომელიც საჭიროებს რეზერვების ფორმირებას, დაიფარება მესამე მხარის მიერ, მოთხოვნები აისახება აქტივებში, როდესაც გადახდა სარწმუნოა და მოთხოვნის შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით.

**პირობითი ვალდებულებები**

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში, არამედ ხდება მათი აღწერა ფინანსურ ანგარიშგებაში სანამ არ გაჩნდება სახსრების გადინების შესაძლებლობა. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში არ აისახება, მაგრამ წარმოდგენილია იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღებაა ნავარაუდევი.

**უცხოური ვალუტა**

ბანკის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ბანკის ფუნქციონირებადი ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში (უცხოურ ვალუტაში) განხორციელებული გარიგებები აისახებიან გარიგების თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული ერთეულები ამ თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით ექვემდებარებიან გადაფასებას. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი ერთეულები გადაფასებას ექვემდებარება მათი რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღისათვის არსებული კურსით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში ფასდებიან ისტორიული ღირებულების გათვალისწინებით და არ ექვემდებარებიან გადაფასებას.

გაცვლითი კურსის სხვაობა ფულად ერთეულებზე აღიარებულია მოგებასა და ზარალში იმ პერიოდში, როდესაც ისინი წარმოიქმნა.

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ბანკმა გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

| | **დეკემბერი 31, 2011** | **დეკემბერი 31, 2010** |
|---|---|---|
| ლარი/1 აშშ დოლარი | 1.6703 | 1.7728 |
| ლარი/1 ევრო | 2.1614 | 2.3500 |

**უზრუნველყოფა**

ბანკი უზრუნველყოფას ითხოვს კლიენტების ვალდებულებებზე, საჭიროებისდა-მიხედვით. ჩვეულებრივ უზრუნველყოფა გულისხმობს კლიენტის აქტივების დაყადაღებას და ბანკს აძლევს ამ აქტივების მოთხოვნის უფლებას, როგორც არსებულ, ასევე მომავალ ვალდებულებებზე.

**ხელმძღვანელობის განსჯის სფეროები და შეფასებების არასარწმუნოობის წყარო**

ბანკის ბუღალტრული პოლიტიკის გამოყენებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია განიხილოს, შეაფასოს და გააკეთოს დაშვებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით, რომლებიც სხვა წყაროებიდან არ იკვეთება. ხელმძღვანელობის შეფასება და შესაბამისი დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც მართებულად ითვლება. ფაქტიური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები ფასდება საწარმოს უწყვეტობის დაშვების პრინციპით. ბუღალტრული შეფასებების შესწორება აღიარებას ექვემდებარება იმ პერიოდისათვის, როდესაც ხდება შესწორება, თუ შესწორება ეხება მხოლოდ ამ პერიოდს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგი ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს შესაბამისად შესწორება მოხდება მიმდინარე და შემდგომ პერიოდებში.

**ბუღალტრული პოლიტიკების გამოყენების კრიტიკული განსჯა**

შემდეგი საკითხები წარმოადგენს კრიტიკული განსჯის საგანს, იმ შეფასებების გარდა (იხილეთ ქვემოთ), რომელიც ხელმძღვანელობამ გააკეთა ბანკის ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენების პროცესში და რომელთაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებზე.

<u>დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები</u>

ხელმძღვანელობამ განიხილა ბანკის დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები კაპიტალის შენარჩუნებისა და ლიკვიდობის მოთხოვნების ჭრილში და დაადასტურა, რომ ბანკს გააჩნია განზრახვა და უნარი ფლობდეს მათ დაფარვის ვადამდე. 2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის და 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების საბალანსო ღირებულება შესაბამისად შეადგენს 3,533 ათას, 4,371 ათას და ნულ ლარს. ამ აქტივების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია მე-16 შენიშვნაში.

**შეფასებების არასარწმუნოობის უმთავრესი წყაროები**

ქვემოთ წარმოდგენილია მომავალთან და სხვა შეფასების არასარწმუნოობის ძირითად წყაროებთან დაკავშირებული უმთავრესი დაშვებები, რომლებიც ატარებენ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში.

<u>სესხების და მოთხოვნების გაუფასურება</u>

ბანკის ხელმძღვანელობა რეგულარულად განიხილავს საკუთარ სესხებს გაუფასურების შეფასების მიზნით. გაუფასურების დანაკარგების აღიარების მიზნით ბანკი საკუთარი სესხებისა და მოთხოვნების პორტფელში ადგენს სესხების გაუფასურების რეზერვს. ანკის ხელმძღვანელობა სესხების გაუფასურების რეზერვთან დაკავშირებულ ბუღალტრულ დაშვებებს მიიჩნევს არასარწმუნოობის მთავარ წყაროდ, რადგან (I) არსებობს დიდი ალბათობა მათი პერიოდული ცვლილებისა, იმის გამო რომ მომავალი გადაუხდელობის შეფასება და გაუფასურებულ სესხებთან და ავანსებთან დაკავშირებული დანაკარგების განსაზღვრა დაფუძნებულია იმ პერიოდისთვის არსებულ ინფორმაციაზე და (II) ბანკის მიერ განსაზღვრულ დანაკარგებსა და რეალურ დანაკარგებს შორის ნებისმიერი მნიშვნელოვანი სხვაობა გამოიწვევს ბანკის მხრიდან რეზერვების ისეთ კორექტირებას, რომელმაც მნიშვნელოვანი თანხის შემთხვევაში შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს მომავალ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ კლიენტებზე გაცემულ სესხებზე ბანკი, პირველ რიგში ინდივიდუალურად აფასებს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებების არსებობას თითოეულ ფინანსურ აქტივზე ინდივიდუალურად, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვანია, ან მთლიანობაში ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც ინდივიდუალურად არ არის მნიშვნელოვანი. თუ ბანკი დაადგენს, რომ არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურებისა, იქნება ის მნიშვნელოვანი თუ არა, ის აერთიანებს მას მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფში და ერთობლივად აფასებს მათ გაუფასურებას. აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად ფასდება გაუფასურებაზე და რომლებისთვისაც გაუფასურების დანაკარგი არის, ან კვლავაც რჩება აღიარებულად, არ შედის გაუფასურების ერთობლივ შეფასებაში.

თუ გაუფასურების ზარალის არსებობის ობიექტური საფუძველი დასაბუთდა, ზარალის თანხა განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივების საბალანსო ღირებულებასა და ისეთი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, რომლებშიც არ შედის ჯერ არ წარმოქმნილი საკრედიტო დანაკარგები. აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის გამოყენებით და დანაკარგის ოდენობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშში. საპროცენტო შემოსავლების დარიცხვა ხდება შემცირებულ საბალანსო თანხაზე საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. სესხები, დაკავშირებულ რეზერვებთან ერთად ჩამოიწერება, თუ არ არსებობს იმის ალბათობა, რომ მომავალში ისინი დაიფარება. თუ მიმდინარე წელს შეფასებული გაუფასურების დანაკარგი გაიზარდა ან შემცირდა მისი აღიარების შემდეგ, წინა პერიოდის დანაკარგი იზრდება ან მცირდება კორექტირების საფუძველზე რეზერვის ანგარიშზე. თუ ჩამოწერა შემდგომ იქნა დაფარული, დაფარვა კრედიტდება მოგება-ზარალის ანგარიშზე.

მომავალი ფულადი სახსრების ნაკადების მიმდინარე ღირებულება გამოითვლება ფინანსური აქტივების საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. თუ სესხს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირებული განაკვეთი ნებისმიერი გაუფასურებისთვის იქნება მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი. უზრუნველყოფილი აქტივის შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების დათვლაში მონაწილეობას იღებს უზრუნველყოფის რეალიზაციით მიღებული თანხა შემცირებული რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯებით, თუ ამგვარი რეალიზაცია შესაძლებელია.

კოლექტიური გაუფესურების შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია ბანკის შიდა საკრედიტო შეფასების სისტემის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს საკრედიტო რისკების მახასიათებლებს როგორებიცაა: აქტივის ტიპი, დარგი, გეოგრაფიული მდებარეობა, უზრუნველყოფის ტიპი, ვადაგადაცილების არსებობა, და სხვა დაკავშირებული ფაქტორები.

მომავალი ფულადი ნაკადების მოძრაობა ფინანსური აქტივების ჯგუფზე, რომლებიც ერთობლივად არის შეფასებული გაუფასურებაზე, ფასდება აქტივების ისტორიული დანაკარგების გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომელთა საკრედიტო რისკის მახასიათებლები ემთხვევა ჯგუფში შემავალი აქტივების მახასიათებლებს. ისტორიული დანაკარგების გამოცდილება ეფუძნება მიმდინარე არსებულ მონაცემებს, იმისათვის რომ ასახოს მიმდინარე გარემოებების გავლენა, რომლებსაც გავლენა არ მოუხდენია იმ წელიწადზე, რომელზეც დაფუძნებულია ისტორიული დანაკარგების გამოცდილება და იმ ისტორიული პერიოდის გარემოებების გავლენის გამოსარიცხად, რომლებიც ამჟამად არ არსებობს. მომავალი ფულადი ნაკადების ცვლილებების შეფასება ასახავს და მიზანმიმართულად შეესაბამება მიმდინარე არსებული მონაცემების ცვლილებებს წლიდან წლამდე (ისეთი, როგორიცაა ცვლილებები უმუშევრობის დონეში, უძრავი ქონების ფასები, საქონლის ფასი, გადახდის სტატუსი, ან სხვა ფაქტორები, რომლებიც ასახავს არსებულ დანაკარგებს ჯგუფში ან მათ მასშტაბებს). მეთოდოლოგია და მოსაზრებები, რომლებიც გამოიყენება მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისთვის, რეგულარულად განიხილება დანაკარგების შეფასებასა და რეალური დანაკარგების გამოცდილებას შორის სხვაობის შესამცირებლად.

ბანკის ხელმძღვანელობა ეყრდნობა პროფესიულ განსჯას ნებისმიერი გაუფასურების დასადგენად იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა და ისტორიული გამოცდილების მონაცემები მსგავსი მსესხებლების შესახებ მწირია. ბანკი ფულადი სახსრების მოძრაობაში ცვლილებებს განსაზღვრავს წინა პერიოდის გამოცდილებასა და ხელმისაწვდომ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიუთითებენ ჯგუფში შემავალი მსესხებლის გადახდის სტატუსის უარყოფით ცვლილებაზე და აგრეთვე ადგილობრივი ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, რომლებიც უკავშირდება ჯგუფში შემავალი აქტივების ამოღების შესაძლებლობის არ არსებობას. ხელმძღვანელობა იყენებს დაშვებებს იმ აქტივების ისტორიულ დანაკარგებზე დაყრდნობით, რომელთა საკრედიტო რისკების მახასიათებლები და გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლები მსგავსია სესხების მოცემული ჯგუფისათვის. ბანკი იყენებს ხელმძღვანელობის პროფესიულ განსჯას და აკორექტირებს სესხების ჯგუფის შესახებ არსებულ მონაცემებს იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც აქამდე არ ასახულა ისტორიულ მონაცემებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი ფინანსურ ანგარიშგებაში განისაზღვრა არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების საფუძველზე. ბანკისათვის ამ ეტაპზე რთულია პროგნოზი იმისა თუ რა ცვლილებებია მოსალოდნელი ამ პირობებში საქართველოში და რა გავლენა ექნება მომავალ პერიოდში ამ ცვილებებს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის ადექვატურობაზე.

2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის და 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გაცემულმა სესხებმა მთლიანად შეადგინა 78,428 ათასი, 57,532 ათასი და 95,603 ათასი ლარი, შესაბამისად, ხოლო გაუფასურების დანაკარგების რეზერვმა შესაბამისად შეადგინა 6,624 ათასი, 9,311 ათასი და 13,176 ათასი ლარი.

ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება

როგორც ეს 30-ე შენიშვნაშია მოცემული ბანკი იყენებს შეფასების მეთოდებს, რომლებიც მოიცავენ პირობებს, რომლებიც გარკვეული ტიპის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების დადგენისას არ ეფუძნება არსებულ საბაზრო თარიღს. შენიშვნა 30 წარმოადგენს დეტალურ ინფორმაციას ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების დადგენისას გამოყენებული უმთავრესი დაშვებების შესახებ და მათი მგრძნობიარობის ანალიზს. დირექტორებს მიაჩნიათ, რომ შეფასების შერჩეული მეთოდები და დაშვებები მართებულია ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების დადგენისათვის.

ძირითადი საშუალებები

გარკვეული ტიპის ძირითადი საშუალებები (შენობები და სხვა უძრავი ქონება) წარმოდგენილია გადაფასებული ღირებულებით. უკანასკნელი შეფასების თარიღია 2011 წლის 31 დეკემბერი. შემდეგი გადაფასება იგეგმება 2012 წლის 31 დეკემბერს. 2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის და 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გადაფასებული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება შეადგენს 16,372 ათას, 17,573 ათას და 17,706 ათას ლარს, შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები წარმოდგენლია გადაფასებული ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ხარჯები. ქონებისა და მოწყობილობის სასარგებლო მოხმარების ვადის განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის დაშვებების საფუძველზე, ამგვარ აქტივებთან დაკავშირებით მათი გამოცდილების მიხედვით. იმისათვის, რომ აქტივის სასარგებლო მოხმარების ვადა განისაზღვროს, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მის გამოყენებას, ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და ამორტიზაციას, და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც მოცემულ აქტივს ფუნქციონირება უწევს. ამ პირობათაგან ან შეფასებებიდან რომელიმეს ცვლილებამ შეიძლება მომავალში ამორტიზაციის ნორმებში მნიშვნელოვანი შესწორებების საჭიროება გამოიწვიოს.

საინვესტიციო ქონება, რომელიც აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით

შენობები, რომლებიც შედის საინვესტიციო ქონებაში, იზომება გადაფასებული ღირებულებით. უკანასკნელი შეფასების თარიღი იყო 2011 წლის 31 დეკემბერი. შემდეგი გადაფასება დაგეგმილია 2012 წლის 31 დეკემბრისთვის. გადაფასებული ქონების საბალანსო ღირებულება 2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის და 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესაბამისად შეადგენს 2,645 ათას, 2,034 ათას და 2,194 ათას ლარს.

## 3. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მიღება

ბანკმა მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსა და ფინანსური აღრიცხვის ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც შეესაბამება მის ოპერაციებს და ძალაშია 2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ანგარიშგების პერიოდისათვის.

- ფასს 7 "ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა" — ცვლილებები შევიდა 2010 წლის მაისის ფასს-ის ყოველწლიური შესწორებებიდან. წარდგენის კლასიფიკაციის და რესტრუქტურიზებული სესხების წარდგენის მოთხოვნის გათავისუფლების განმარტებები.
- ბასს 24 „დაკავშირებული მხარეების წარდგენა" — (შესწორებულია 2010 წელს) გაამარტივა დაკავშირებული მხარეების განმარტება და სახელმწიფოსთან დაკავშირებული საწარმოების წარდგენის მოთხოვნები.

ახალი და შესწორებული სტანდარტების მიღებამ არ მოახდინა გავლენა ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და მის ფუნქციონირებაზე.

### 3.1 გამოცემული და ჯერ არ მიღებული ახალი და შესწორებული ფასს-ის სტანდარტები

ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცების თარიღისათვის, გამოცემულ იქნა, თუმცა ძალაში არ იყო შესული, შემდეგი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ბანკმა არ მიიღო მათი ძალაში შესვლის თარიღამდე:

- ფასს 7 „ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა" — შესწორება გულისხმობს ფინანსური აქტივების გადატანის წარდგენას [1];
- ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები"[2];
- ფასს 10 „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება"[3];
- ფასს 11 „ერთობლივი საქმიანობის შეთანხმებები"[3];
- ფასს 12 „სხვა კომპანიებში მონაწილეობის წარდგენა"[3];
- ფასს 13 „რეალური ღირებულების შეფასება"[2];
- ბასს 1 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა" — შესწორება გულისხმობს სხვა სრული შემოსავლის წარდგენის შესწორებულ მეთოდებს[4];
- ბასს 12 „მოგების გადასახადები" — შესწორებულია შეზღუდვებით (ძირითადი აქტივების აღდგენა)[5];
- ბასს 27 - ხელახლა გამოიცა, როგორც ბასს 27 „ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება" (შეიცვალა 2011 წლის მაისში)[3];
- ბასს 28 - ხელახლა გამოიცა, როგორც ბასს 28 „ინვესტიციები ასოცირებულ და ერთობლივ საწარმოებში" (შეიცვალა 2011 წლის მაისში)[3].

[1] ძალაშია 2011 წლის 1 ივლისით დაწყებული წლიური პერიოდისთვის ადრე გამოყენების დაშვებით;

[2] ძალაშია 2013 წლის 1 იანვრით დაწყებული წლიური პერიოდისთვის ადრე გამოყენების დაშვებით;

[3] ამ ხუთი სტანდარტიდან თითოეული სტანდარტი ძალაში შევა 2013 წლის 1 იანვრით დაწყებული წლიური პერიოდისთვის და მათი ადრე გამოყენება დაშვებული იქნება იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ხუთივე სტანდარტის ადრე გამოყენება (გარდა ფასს 12-ისა, რომლის ადრე გამოყენება დაშვებულია სხვა სტანდარტებისგან დამოუკიდებლად);

[4] ძალაშია 2012 წლის 1 ივლისით დაწყებული წლიური პერიოდისთვის ადრე გამოყენების დაშვებით;

[5] ძალაშია 2012 წლის 1 იანვრით დაწყებული წლიური პერიოდისთვის ადრე გამოყენების დაშვებით.

***ფასს 7-ის ცვლილებები***

ცვლილებები მოიცავს წარდგენას, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისთვის უკეთესად გასაგებს ხდის ფინანსური აქტივების გადაცემის გარიგებებს (მაგალითად, ფასიანი ქაღალდების გამოშვება) და ასევე ნებისმიერი იმ რისკის მოსალოდნელ შედეგებს, რომელიც შეიძლება დარჩეს კომპანიაში, რომელმაც მოახდინა აქტივების გადაცემა. ცვლილებები ასევე მოითხოვს დამატებით წარდგენას, თუ ანგარიშგების პერიოდის ბოლოს განხორციელდა არაპროპორციულად დიდი ოდენობის გადაცემის გარიგება.

ბასს 8-ის თანახმად რეტროსპექტიული გამოყენება აუცილებელია, იმ გამონაკლისით, რომ გამოყენების პირველ წელს, კომპანიას შეუძლია არ წარმოადგინოს შესადარისი ინფორმაცია წარდგენისთვის, რომელიც მოითხოვება ცვლილებებით 2011 წლის 1 ივლისით დაწყებული პერიოდისთვის. ბანკი არ ელის, რომ ეს ცვლილება მოახდენს რაიმე მატერიალურ გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობაზე ან საქმიანობის შედეგებზე.

***ფასს 9***

ფასს 9, რომელიც გამოშვებულ იქნა 2009 წლის ნოემბერში და შეიცვალა 2010 წლის ოქტომბერში, წარმოადგენს ახალ მოთხოვნებს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებასთან და აღიარების შეწყვეტასთან მიმართებაში.

ფასს 9 მოითხოვს, რომ ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი, რომელსაც ეხება ბასს 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება" აღიარების შემდგომი განსაზღვრა უნდა მოხდეს ამორტიზებული ან რეალური ღირებულებით. კერძოდ, სავალო ინვესტიციები, რომლებსაც ბიზნეს მოდელის შესაბამისად იყენებენ კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი სახსრების მიღების მიზნით, და რომელთაც გააჩნიათ კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადები, რომლებიც წარმოადგენს ძირითადი თანხისა და დარჩენილ ძირითად თანხებზე დარიცხული პროცენტის გადახდებს, ზოგადად აისახება ამორტიზებული ღირებულებით ანგარიშგების შესაბამისი პერიოდის ბოლოს. ყველა სხვა სავალო ინვესტიცია აისახება რეალური ღირებულებით აღიარების შემდგომი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს.

ფასს 9-ს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებასთან მიმართებაში უკავშირდება (მოგებასა და ზარალში რეალური ღირებულბით ასახული) ფინანსური ვალდებულების რეალური ღირებულების ისეთი ცვლილების ასახვას, რომელიც გამოწვეულია ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით. კერძოდ, ფასს 9-ს გათვალისწინებისას, ფინანსური ვალდებულებების შემთხვევაში, რომლებიც მოგებასა და ზარალში რეალური ღირებულებით აისახება, რეალური ღირებულების ცვლილების თანხა ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების შემთხვევაში აისახება სხვა სრულ მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი აღიარება გამოიწვევს, ან გაზრდის ბუღალტრულ შეუსაბამობას მოგებასა და ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების ეფექტი რეალურ ღირებულებაზე არ რეკლასიფიცირდება მოგებასა და ზარალში. წინა პერიოდებში, ბასს 39-ის საფუძველზე მოგებასა და ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულების რეალური ღირებულების ცვლილების ერთიანი თანხა აღიარებას ექვემდებარებოდა მოგებასა და ზარალში.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფასს 9-ის, რომელიც გამოქვეყნებული იქნება 2013 წლის 1 იანვრით დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული ბანკის ფინანსური ანგარიშგებისთვის, და ახალი სტანდარტების მიღების გავლენის შეფასება ბანკის მიერ წარმოდგენილ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე შეუძლებელია დეტალური მიმოხილვის დასრულებამდე.

*ფასს 13 "რეალური ღირებულების შეფასება"*

ფასს 13 "რეალური ღირებულების შეფასება" მიზნად ისახავს შესაბამისობის გაუმჯობესებასა და სირთულეების აღმოფხვრას იმის საშუალებით, რომ უზრუნველყოფს რეალური ღირებულების ზუსტ განმარტებას, რეალური ღირებულების შეფასების და წარდგენის მოთხოვნების ერთიან წყაროს, რაც გამოყენებულ იქნება ფასს-ში. სტანდარტი მოიცავს:

- რეალური ღირებულების განსაზღვრას;
- ცალკე ფასს-ისთვის რეალური ღირებულების შეფასების საშუალებებს;
- რეალური ღირებულების შეფასების წარდგენის აუცილებლობას.

ფასს 13 გამოიყენება მაშინ, როდესაც სხვა ფასს-ი საჭიროებს ან უშვებს რეალური ღირებულების შეფასებას ან რეალური ღირებულების შეფასების წარდგენას (და შეფასებებს, როგორიცაა რეალური ღირებულებას გამოკლებული გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები, დაფუძნებული რეალურ ღირებულებაზე ან ამ შეფასებების წარდგენაზე) გარდა ფასს 2-ით „წილობრივი გადახდა" გათვალისწინებული წილობრივი გადახდის გარიგებების, ბასს 17-ით „იჯარა" გათვალისწინებული იჯარის გარიგებებისა, და შეფასებებისა, რომელთაც საერთო აქვს რეალური ღირებულებასთან, მაგრამ არ არის რეალური ღირებულება, როგორიცაა ბასს 2-ით „სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები" გათვალისწინებული წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ან ბასს 36-ით „აქტივების გაუფასურება" გათვალისწინებული გამოყენებითი ღირებულება.

*ბასს 1-ის ცვლილებები*

***ბასს 1-ის ცვლილებები - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა*** – ითვალისწინებს სხვა ერთიანი შემოსავლის წარდგენის ცვლილებას.

ბასს 1-ის ცვლილება მოიცავს:

- 2007 წლის ბასს 1-ის ცვლილებას, რომელიც მოითხოვს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ერთად წარდგენას, ან როგორც ერთიანი „მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიში" ან ცალ-ცალკე როგორც „მოგება-ზარალის ანგარიში" და „სრული შემოსავლის ანგარიში" – ვიდრე, როგორც ერთიანი მთლიანი ანგარიში, რასაც გვთავაზობდა ანგარიშგების სამუშაო ვერსია;
- კომპანიების მიერ სხვა სრულ შემოსავალში წარმოდგენილი ელემენტების დაჯგუფებას იმის მიხედვით, შესაძლებელია თუ არა შესაბამისად მათი პოტენციური რეკლასიფიკაცია მოგება-ზარალში (დაჯგუფება ელემენტებად, რომელთა რეკლასიფიკაცია შესაძლებელია და ელემენტებად, რომელთა რეკლასიფიკაცია შეუძლებელია);
- დაბეგვრამდე წარმოდგენილ ელემენტებთან დაკავშირებული გადასახადის ცალ-ცალკე წარმოდგენას სრული შემოსავლის თითოეულ ჯგუფთან მიმართებაში (ისე რომ არჩევანი, თუ როგორ იქნეს წარმოდგენილი სხვა სრული შემოსავალი – დაბეგვრამდე თუ დაბეგვრის შემდეგ – დარჩეს უცვლელი).

ბანკი არ ელის, რომ ეს ცვლილებები მოახდენს რაიმე მატერიალურ გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობაზე ან საქმიანობის შედეგებზე.

## 4. რეკლასიფიკაცია

გარკვეული რეკლასიფიკაცია გაუკეთდა 2010 წლის 31 დეკემბრის და ამავე თარიღით დასრულებული წლის მდგომარეობით წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებას 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილ მონაცემებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ვინაიდან ეს უკანასკნელი უფრო მართებულად წარმოგვიდგენს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას.

| რეკლასიფიკაციის ბუნება | თანხა | ფინანსური მდგომარეობის ანგარიში/ მოგება-ზარალის ანგარიშის მუხლი წინა ანგარიშიდან | ფინანსური მდგომარეობის ანგარიში/ მოგება-ზარალის ანგარიშის მუხლი მიმდინარე ანგარიშიდან |
|---|---|---|---|
| სესხის გაცემის საკომისიოს რეკლასიფიკაცია საკომისიო შემოსავლებიდან საპროცენტო შემოსავალში | 133 | საკომისიო შემოსავლები | საპროცენტო შემოსავლები |
| გირაოში დარჩენილი აქტივების გადაფასებიდან მიღებული ზარალის რეკლასიფიკაცია საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან მიღებული ზარალიდან | 103 | საოპერაციო ხარჯები | სხვა შემოსავლები |
| გირაოში დარჩენილი აქტივების გაუფასურების რეკლასიფიკაცია საოპერაციო ხარჯებში | 692 | გაუფასურების დანაკარგების რეზერვი სხვა ოპერაციებზე | საოპერაციო ხარჯები |
| გამოუყენებელი შვებულებების რეზერვის აღდგენის რეკლასიფიკაცია საოპერაციო ხარჯებში | 20 | გაუფასურების დანაკარგების რეზერვი სხვა ოპერაციებზე | საოპერაციო ხარჯები |
| კომერციული ბანკების მიმართ მოთხოვნების სწორად წარმოდგენა | 9,853 | ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში | მოთხოვნები ბანკების მიმართ |
| საქართველოს ეროვნულ ბანკში სავალდებულო რეზერვის სწორად წარმოდგენა | 2,836 | მოთხოვნები ბანკების მიმართ | ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში |

## 5. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

| | 2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის | 2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის |
|---|---|---|
| **საპროცენტო შემოსავალი მოიცავს:** | | |
| საპროცენტო შემოსავალი ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებზე: | | |
| -საპროცენტო შემოსავალი გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებზე | 8,311 | 11,999 |
| -საპროცენტო შემოსავალი ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც არ არის გაუფასურებული | 3,833 | 406 |
| **სულ საპროცენტო შემოსავალი** | **12,144** | **12,405** |
| საპროცენტო შემოსავალი ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებზე: | | |
| საპროცენტო შემოსავალი კლიენტებზე გაცემულ სესხებზე | 11,216 | 11,999 |
| საპროცენტო შემოსავალი ბანკების მიმართ მოთხოვნებზე | 483 | 280 |
| საპროცენტო შემოსავალი დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებზე | 445 | 126 |
| **სულ საპროცენტო შემოსავალი ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებზე** | **12,144** | **12,405** |
| საპროცენტო ხარჯი ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ვალდებულებებზე: | | |
| საპროცენტო ხარჯი სხვა ნასესხებ სახსრებზე | (4,834) | (5,692) |
| საპროცენტო ხარჯი კლიენტების მიმართ ვალდებულებებზე | (1,086) | (1,758) |
| საპროცენტო ხარჯი ბანკების მიმართ ვალდებულებებზე | (245) | (34) |
| საპროცენტო ხარჯი სუბორდინირებულ სესხზე | (228) | (241) |
| **სულ საპროცენტო ხარჯი** | **(6,393)** | **(7,725)** |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ხარჯის აღდგენამდე** | **5,751** | **4,680** |

## 6. გაუფასურების დანაკარგების რეზერვი

გაუფასურების დანაკარგების რეზერვის მოძრაობა კლიენტებზე გაცემულ სესხებზე მოიცავს:

| | კლიენტებზე გაცემული სესხები |
|---|---|
| **იანვარი 1, 2010** | 13,176 |
| (რეზერვის ხარჯის აღდგენა) | (3,673) |
| აქტივების ჩამოწერა | (833) |
| ადრე ჩამოწერილი აქტივების აღდგენა | 641 |
| **დეკემბერი 31, 2010** | 9,311 |
| (რეზერვის ხარჯის აღდგენა) | (2,606) |
| აქტივების ჩამოწერა | (675) |
| ადრე ჩამოწერილი აქტივების აღდგენა | 594 |
| **დეკემბერი 31, 2011** | 6,624 |

სხვა რეზერვების მოძრაობა შეადგენს:

| | გასაყიდად არსებული ინვესტიციები | იურიდიული დავები | გარანტიები და ვალდებულებები | სულ |
|---|---|---|---|---|
| **იანვარი 1, 2010** | 260 | - | 117 | 377 |
| დამატებითი რეზერვის ხარჯის აღიარება | - | 100 | 1 | 101 |
| **დეკემბერი 31, 2010** | 260 | 100 | 118 | 478 |
| **დეკემბერი 31, 2011** | 260 | 100 | 118 | 478 |

## 7. წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე

წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე მოიცავს:

| | 2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის | 2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის |
|---|---|---|
| სავაჭრო ოპერაციები, წმინდა | 1,330 | 1,289 |
| არარეალიზებული საკურსო სხვაობა, წმინდა | (344) | (265) |
| **სულ წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე** | **986** | **1,024** |

## 8. საკომისიო შემოსავლები და ხარჯები

საკომისიო შემოსავლები და ხარჯები მოიცავს:

| | 2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის | 2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის |
|---|---|---|
| **საკომისიო შემოსავლები:** | | |
| პლასტიკური ბარათებით განხორციელებული ოპერაციები | 403 | 262 |
| ნაღდ ფულთან დაკავშირებული ოპერაციები | 285 | 154 |
| ანგარიშსწორების საკომისიო | 220 | 210 |
| გადარიცხვის ოპერაციები | 189 | 112 |
| გარანტიები | 98 | 85 |
| სავალუტო ოპერაციები | 18 | 20 |
| საკომისიო კომუნალური მომსახურების გადასახადებზე | 13 | 277 |
| სადეპოზიტო ოპერაციები | 3 | 6 |
| სხვა | 23 | 98 |
| **სულ საკომისიო შემოსავლები** | **1,252** | **1,224** |
| **საკომისიო ხარჯები:** | | |
| პლასტიკური ბარათებით განხორციელებული ოპერაციები | (96) | (139) |
| ანგარიშსწორების საკომისიო | (47) | (38) |
| ნაღდ ფულთან დაკავშირებული ოპერაციები | (31) | (92) |
| სხვა | (16) | (16) |
| **სულ საკომისიო ხარჯები** | **(190)** | **(285)** |

## 9. ᲡᲮᲕᲐ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ

სხვა შემოსავალი მოიცავს:

| | 2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის | 2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის |
|---|---|---|
| იჯარით აღებული ქონების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი | 527 | - |
| საიჯარო შემოსავალი | 392 | 318 |
| დაბრუნებული სასამართლოს ხარჯები | 365 | 81 |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი | 296 | - |
| შემოსავალი ინვესტიციებიდან მიღებული დივიდენდების სახით | 54 | - |
| ჯარიმები და საურავები | 2 | 23 |
| საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი | - | 100 |
| სხვა | 3 | 7 |
| **სულ სხვა შემოსავალი** | **1,639** | **529** |

## 10. ᲡᲐᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲝ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘ

საოპერაციო ხარჯები მოიცავს:

| | 2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის | 2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის |
|---|---|---|
| ხელფასები და პრემიები | 4,369 | 4,280 |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 1,663 | 1,848 |
| საიჯარო ხარჯები | 883 | 844 |
| პროფესიული მომსახურება | 571 | 440 |
| გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა | 350 | 309 |
| დაცვის ხარჯები | 346 | 270 |
| გირაოში დარჩენილი აქტივების გაყიდვით მიღებული ზარალი | 436 | 1,101 |
| გირაოში დარჩენილი აქტივების გადაფასებიდან მიღებული ზარალი | 370 | 692 |
| სარეკლამო ხარჯები | 306 | 266 |
| იურიდიული მომსახურება | 294 | 185 |
| საფოსტო ხარჯები | 273 | 312 |
| ჯარიმები და საურავები | 261 | 4 |
| კომუნალური ხარჯები | 255 | 255 |
| პლასტიკური ბარათების დამზადების ხარჯი | 185 | 131 |
| წარმომადგენლობითი ხარჯები | 105 | 18 |
| სამივლინებო ხარჯები | 72 | 52 |
| ოფისის ხარჯები | 67 | 47 |
| სარემონტო ხარჯები | 55 | 89 |
| სწავლების ხარჯები | 54 | 3 |
| საკანცელარიო ხარჯები | 39 | 48 |
| დაზღვევა | 33 | 17 |
| საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან მიღებული ზარალი | 19 | - |
| სხვა ხარჯები | 504 | 710 |
| **სულ საოპერაციო ხარჯები** | **11,510** | **11,921** |

## 11. მოგების გადასახადი

ბანკი მისი მიმდინარე მოგების გადასახადის, აქტივებისა და ვალდებულებების დათვლასა და აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც შესაძლოა განსხვავდებოდეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისაგან.

გარკვეული ხარჯების არასაგადასახადო მიზნით გამოქვითვისა და გადასახადისაგან გათავისუფლებული შემოსავლებიდან გამომდინარე, ბანკი მუდმივად განიცდის საგადასახადო განსხვავებებს.

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის გადავადებული გადასახადები ასახავს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და საგადასახადო მიზნებისათვის გამოყენებულ თანხებს შორის დროებითი სხვაობების წმინდა საგადასახადო ეფექტებს. 2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის და 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული დროებითი სხვაობები ძირითადად დაკავშირებულია შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების განსხვავებულ მეთოდებსა/დროსა და ასევე გარკვეული სახის აქტივების აღრიცხვიანობის სხვაობასთან საბუღალტრო მონაცემებზე დაყრდნობით.

მონაცემების შეჯამებისას გამოყენებული საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს კორპორატიულ საგადასახადო 15%-იან განაკვეთს, რომელსაც საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე კორპორატიული საწარმოები იხდიან საგადასახადო მოგებაზე.

2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის და 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დროებითი სხვაობები შეადგენს:

| | დეკემბერი 31, 2011 | დეკემბერი 31, 2010 | იანვარი 1, 2010 |
|---|---|---|---|
| გადავადებული საგადასახადო აქტივები/ვალდებულებებიშემდეგ მუხლებთან მიმართებაში: | | | |
| ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები | (20,976) | (22,040) | (23,380) |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 483 | 360 | 6,627 |
| საინვესტიციო ქონება | 22 | - | - |
| გირაოში დარჩენილი აქტივები | 1,235 | 773 | - |
| სხვა ვალდებულებები | 302 | 187 | 107 |
| სხვა აქტივები | (172) | - | - |
| **სულ დასაბეგრი დროებითი სხვაობა** | (19,106) | (20,720) | (16,646) |
| წმინდა გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები კანონით განსაზღვრული 15%- იანი საგადასახადო განაკვეთით | (2,866) | (3,108) | (2,497) |
| ზარალის გადატანა მომავალ პერიოდზე | 1,252 | 1,422 | 1,365 |
| **წმინდა გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები** | **(1,614)** | **(1,686)** | **(1,132)** |

| | 2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის | 2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის | 2010 წლის 1 იანვრით დასრულებულ ი წლისათვის |
|---|---|---|---|
| მოგება მოგების გადასახადამდე | 534 | (1,177) | (5,514) |
| კანონით განსაზღვრული გადასახადის განაკვეთი (15%) | 80 | (177) | (827) |
| მუდმივი ცვლილებების საგადასახადო ეფექტი | (27) | 698 | 336 |
| **მოგების გადასახადის ხარჯი (სარგებელი)** | 53 | 521 | (491) |
| მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი | 170 | - | - |
| ცვლილება ზარალის გადატანიდან მომავალ პერიოდზე | (170) | - | - |
| ცვლილებები გადავადებული მოგების გადასახადის ნაშთებში | 53 | 521 | (491) |
| **მოგების გადასახადის ხარჯი (სარგებელი)** | 53 | 521 | (491) |

2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის და 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესაბამისი ეფექტური საგადასახადო განაკვეთი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| **გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები** | **2011** | **2010** | **2009** |
|---|---|---|---|
| **იანვარი 1 – გადავადებული გადასახადის ვალდებულებები** | (1,686) | (1,132) | (1,533) |
| ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვში ცვლილების საგადასახადო ეფექტი | 125 | (33) | (90) |
| მოგებასა და ზარალში ასახული გადავადებული მოგების გადასახადის ნაშთების ცვლილება | (53) | (521) | 491 |
| **დეკემბერი 31- გადავადებული გადასახადის ვალდებულებები** | **(1,614)** | **(1,686)** | **(1,132)** |

## 12. ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში

| | დეკემბერი 31, 2011 | დეკემბერი 31, 2010 | იანვარი 1, 2010 |
|---|---|---|---|
| ფული | 4,187 | 2,183 | 7,029 |
| ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 3,079 | 3,643 | 8,626 |
| **სულ ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში** | **7,266** | **5,826** | **15,655** |

2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის და 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებული ნაშთები მოიცავს მინიმალურ სავალდებულო დეპოზიტს საქართველოს ეროვნულ ბანკში შესაბამისად 2,938 ათასი, 2,836 ათასი და 2,552 ათასი ლარის ოდენობით. ბანკს მოეთხოვება მუდმივად შეინარჩუნოს მინიმალური სარეზერვო თანხა საქართველოს ეროვნულ ბანკში.

ფული და ფულის ექვივალენტები ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშის მიზნებისათვის შეადგენს:

| | დეკემბერი 31, 2011 | დეკემბერი 31, 2010 | იანვარი 1, 2010 |
|---|---|---|---|
| ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 7,266 | 5,826 | 15,655 |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ (შენიშვნა 13) | 5,024 | 9,853 | 3,534 |
| გამოკლებული: სავალდებულო მინიმალური დეპოზიტი საქართველოს ეროვნულ ბანკში | (2,938) | (2,836) | (2,552) |
| **სულ ფული და ფულის ექვივალენტები** | **9,352** | **12,843** | **16,637** |

## 13. მოთხოვნები ბანკების მიმართ

მოთხოვნები ბანკების მიმართ მოიცავს:

| | დეკემბერი 31, 2011 | დეკემბერი 31, 2010 | იანვარი 1, 2010 |
|---|---|---|---|
| ვადიანი დეპოზიტები | 2,861 | 5,377 | 27 |
| საკორესპონდენტო ანგარიშები | 2,163 | 9,853 | 3,534 |
| **სულ მოთხოვნები ბანკების მიმართ** | **5,024** | **15,230** | **3,561** |

2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის და 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოთხოვნები ბანკების მიმართ მოიცავს დარიცხულ პროცენტს და შეადგენს 1 ათას, 31 ათას და 1 ათას ლარს, შესაბამისად.

2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის და 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბანკს გააჩნდა ნული, ერთი და ნული ბანკის მიმართ ნაშთების მოთხოვნები შესაბამისად, რაც აღემატება ბანკის კაპიტალის 10 პროცენტს.

2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის და 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბანკების მიმართ ნაშთების მოთხოვნები არ მოიცავს საგარანტიო დეპოზიტებს, რომლებიც ბანკმა პლასტიკური ბარათების საშუალებით ოპერაციების განხორციელებისათვის განათავსა.

## 14. კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავს:

| | დეკემბერი 31, 2011 | დეკემბერი 31, 2010 | იანვარი 1, 2010 |
|---|---|---|---|
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 76,791 | 55,754 | 90,926 |
| დარიცხული პროცენტი | 1,637 | 1,778 | 4,677 |
| გამოკლებული: შესაძლო გაუფასურების დანაკარგების რეზერვი | (6,624) | (9,311) | (13,176) |
| **სულ კლიენტებზე გაცემული სესხები** | **71,804** | **48,221** | **82,427** |

2011 და 2010 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის გაუფასურების დანაკარგების რეზერვის მოძრაობა მოცემულია მე-6 შენიშვნაში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კლიენტებზე გაცემული სესხების საბალანსო ღირებულებას ბანკის მიერ მიღებული უზრუნველყოფის მიხედვით:

| | დეკემბერი 31, 2011 | დეკემბერი 31, 2010 | იანვარი 1, 2010 |
|---|---|---|---|
| სესხები უზრუნველყოფილი კომბინირებული უზრუნველყოფით | 35,274 | 20,917 | 14,877 |
| სესხები უზრუნველყოფილი უძრავი ქონებით | 31,763 | 29,834 | 43,886 |
| სესხები უზრუნველყოფილი სატრანსპორტო საშუალებებით | 680 | 1,117 | 2,326 |
| სესხები უზრუნველყოფილი ფულადი სახსრებით | 324 | 360 | 22,878 |
| სესხები უზრუნვებლყოფილი კორპორატიული გარანტიებით | 28 | - | 118 |
| სესხები უზრუნველყოფილი დანადგარებით | 16 | 42 | 56 |
| სხვა სახის უზრუნველყოფა | 5,129 | 4,024 | 2,322 |
| სესხები უზრუნველყოფის გარეშე | 5,214 | 1,238 | 9,140 |
| გამოკლებული: შესაძლო გაუფასურების დანაკარგების რეზერვი | (6,624) | (9,311) | (13,176) |
| **სულ კლიენტებზე გაცემული სესხები** | **71,804** | **48,221** | **82,427** |

2011 და 2010 წლების 31 დეკემბრით და 2010 წლის 1 იანვრით დასრულებული წლებისათვის ბანკმა მიიღო ფინანსური (ან არაფინანსური აქტივები) იმ ქონების დასაკუთრების შედეგად, რომელიც ბანკს გააჩნდა უზრუნველყოფის სახით.. 2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის და 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბანკის გასაყიდად არსებული აქტივების ჯგუფმა შესაბამისად მოიცვა ამგვარი აქტივები 8,067 ათასი ლარის, 7,895 ათასისა და 8,338 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად. ბანკის პოლიტიკაა მოახდინოს გირაოში დარჩენილი ქონების რეალიზაცია თანმიმდევრული მეთოდით. მიღებული შემოსავლები გამოიყენება არსებული მოთხოვნის შემცირების ან დაფარვის მიზნით. როგორც წესი, ბანკი არ იყენებს გირაოში დარჩენილ ქონებას ბიზნეს საქმიანობისთვის.

| | დეკემბერი 31, 2011 | დეკემბერი 31, 2010 | იანვარი 1, 2010 |
|---|---|---|---|
| **ანალიზი დარგების მიხედვით:** | | | |
| ფიზიკური პირები | 29,480 | 26,718 | 39,014 |
| მშენებლობა და უძრავი ქონება | 11,247 | 9,329 | 11,708 |
| ვაჭრობა | 9,005 | 4,585 | 5,714 |
| სამომხმარებლო პროდუქცია | 6,804 | 3,395 | 1,872 |
| სოფლის მეურნეობა | 5,458 | 1,493 | 895 |
| საფინანსო სექტორი | 5,152 | 5,064 | 1,862 |
| წარმოება და რესურსები | 3,017 | 1,711 | 1,609 |
| ენერგეტიკა | 2,936 | 4,429 | 3,371 |
| ფარმაცევტიკა და მედიცინა | 2,524 | 198 | 150 |
| ტურიზმი | 795 | 562 | 25,111 |
| ტრანსპორტი და ლოგისტიკა | 213 | - | 1,690 |
| ტელეკომუნიკაცია, მედია და ინფორმაციული ტექნოლოგიები | 9 | 48 | 2,544 |
| სხვა | 1,788 | - | 63 |
| გამოკლებული: შესაძლო გაუფასურების დანაკარგების რეზერვი | (6,624) | (9,311) | (13,176) |
| სულ კლიენტებზე გაცემული სესხები | **71,804** | **48,221** | **82,427** |

ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები მოიცავს შემდეგ პროდუქტებს:

| | დეკემბერი 31, 2011 | დეკემბერი 31, 2010 | იანვარი 1, 2010 |
|---|---|---|---|
| იპოთეკური სესხები | 23,301 | 18,677 | 26,726 |
| სამომხმარებლო სესხები | 3,797 | 3,447 | 3,444 |
| ბარათები | 1,245 | 2,631 | 5,054 |
| სამანქანო სესხები | 900 | 1,773 | 3,332 |
| სხვა | 237 | 190 | 458 |
| გამოკლებული: შესაძლო გაუფასურების დანაკარგების რეზერვი | (2,435) | (4,256) | (6,992) |
| სულ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები | **27,045** | **22,462** | **32,022** |

2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბანკმა ერთ კლიენტზე სესხის სახით გასცა 20,990 ათასი ლარი, რაც აღემატება ბანკის კაპიტალის 5 პროცენტს. 2011 და 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ ჰქონია სესხების ასეთი კონცენტრაცია.

2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის და 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სესხების დიდი წილი (სულ კლიენტებზე გაცემული სესხების 99%, 98% და 98%) გაიცა საქართველოში მოღვაწე კომპანიებზე, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან გეოგრაფიულ კონცენტრაციას ერთ რეგიონში.

2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის და 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კლიენტებზე გაცემული სესხები, რომელთა პირობები შეიცვალა, შეადგენს 5,587 ათას, 8,583 ათას და 27,581 ათას ლარს, შესაბამისად. სხვაგვარად ეს სესხები იქნებოდა ვადაგადაცილებული, ან გაუფასურებული.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს კლიენტებზე გაცემული სესხების ანალიზს გაუფასურების მიხედვით:

| | დეკემბერი 31, 2011 | | | დეკემბერი 31, 2010 | | | იანვარი 1, 2010 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | საბალანსო ღირებულება რეზერვის ფორმირებამდე | გაუფასურების დანაკარგების რეზერვი | საბალანსო ღირებულება | საბალანსო ღირებულება რეზერვის ფორმირებამდე | გაუფასურების დანაკარგების რეზერვი | საბალანსო ღირებულება | საბალანსო ღირებულება რეზერვის ფორმირებამდე | გაუფასურების დანაკარგების რეზერვი | საბალანსო ღირებულება |
| კლიენტებზე გაცემული სესხები, რომლებიც ინდივიდუალურად განისაზღვრება როგორც გაუფასურებული | 12,951 | (2,137) | 10,814 | 14,231 | (5,867) | 8,364 | 19,500 | (8,366) | 11,134 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები, რომლებიც ერთობლივად განისაზღვრება როგორც გაუფასურებული | 64,682 | (4,487) | 60,195 | 43,301 | (3,444) | 39,857 | 76,103 | (4,810) | 71,293 |
| სესხები გაუფასურების გარეშე | 795 | - | 795 | - | - | - | - | - | - |
| **სულ** | **78,428** | **(6,624)** | **71,804** | **57,532** | **(9,311)** | **48,221** | **95,603** | **(13,176)** | **82,427** |

## 15. გასაყიდად არსებული ინვესტიციები

გასაყიდად არსებული ინვესტიციები მოიცავს:

| | მფლობელობა % | დეკემბერი 31, 2011 | მფლობელობა % | დეკემბერი 31, 2010 | მფლობელობა % | იანვარი 1, 2010 |
|---|---|---|---|---|---|---|
| სს გუდაური (ყოფილი სს გერგეთი) | 2.05% | 260 | 2.05% | 260 | 2.05% | 260 |
| თბილისის ბანკთაშორისი ბირჟა | - | - | 8.33% | 40 | 8.33% | 40 |
| გაუფასურების დანაკარგების რეზერვის გამოკლებით | | (260) | | (260) | | (260) |
| სულ გასაყიდად არსებული ინვესტიციები | | **-** | | **40** | | **40** |

2011 და 2010 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის გაუფასურების დანაკარგების რეზერვის მოძრაობა მოცემულია მე-6 შენიშვნაში.

## 16. დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

| | დეკემბერი 31, 2011 | | დეკემბერი 31, 2010 | | იავარი 1, 2010 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | წლიური ნომინალური საპროცენტო განაკვეთი | საბალანსო ღირებულება | წლიური ნომინალური საპროცენტო განაკვეთი | საბალანსო ღირებულება | წლიური ნომინალური საპროცენტო განაკვეთი | საბალანსო ღირებულება |
| საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები | - | - | 9.05%-9.75% | 2,377 | - | - |
| სამინისტროს სახელმწიფო ხაზინის სავალო ფასიანი ქაღალდები | 9.20%-9.37% | 768 | 10.07%-14.00% | 1,693 | - | - |
| საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები | 9.5%-13.00% | 2,765 | 13.80% | 301 | - | - |
| **სულ დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები** | | **3,533** | | **4,371** | | **-** |

2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის და 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები მოიცავს დარიცხულ პროცენტს და შეადგენს 69 ათას, 2 ათას და ნულ ლარს, შესაბამისად.

## 17. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები მოიცავს:

| | შენობები და სხვა უძრავი ქონება | ავეჯი და მოწყობილობები | კომპიუტერები და საოფისე მოწყობილობა | ტრანსპორტი | დაუმთავრებელი მშენებლობა | იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება | სხვა | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თავდაპირველი/ გადაფასებული ღირებულებით | | | | | | | | |
| **იანვარი 1, 2010** | 17,706 | 1,864 | 1,951 | 483 | 30 | 2,399 | 1,787 | 26,220 |
| შესყიდვა | - | 17 | 12 | 9 | - | - | 14 | 52 |
| რეალიზაცია | - | - | (1) | (57) | (30) | - | - | (88) |
| გადაფასება | (133) | - | - | - | - | - | - | (133) |
| **დეკემბერი 31, 2010** | 17,573 | 1,881 | 1,962 | 435 | - | 2,399 | 1,801 | 26,051 |
| შესყიდვა | - | 72 | 52 | 76 | 522 | 577 | 151 | 1,450 |
| რეალიზაცია | - | (289) | (151) | (236) | - | (418) | (527) | (1,621) |
| გადაფასება | (1,201) | - | - | - | - | (1,214) | - | (2,415) |
| **დეკემბერი 31, 2011** | 16,372 | 1,664 | 1,863 | 275 | 522 | 1,344 | 1,425 | 23,465 |
| დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება | | | | | | | | |
| **იანვარი 1, 2010** | - | 458 | 593 | 199 | - | 728 | 243 | 2,221 |
| ცვეთის დარიცხვა | 367 | 303 | 232 | 92 | - | 430 | 288 | 1,712 |
| გაუქმებული რეალიზაციის შედეგად | (8) | - | (1) | (23) | - | - | - | (32) |
| გაუქმებული გადაფასების შედეგად | (359) | - | - | - | - | - | - | (359) |
| **დეკემბერი 31, 2010** | - | 761 | 824 | 268 | - | 1,158 | 531 | 3,542 |
| ცვეთის დარიცხვა | 368 | 263 | 164 | 76 | - | 393 | 231 | 1,495 |
| გაუქმებული რეალიზაციის შედეგად | - | (164) | (103) | (175) | - | (317) | (107) | (866) |
| გაუქმებული გადაფასების შედეგად | (368) | - | - | - | - | (1,214) | - | (1,582) |
| **დეკემბერი 31, 2011** | - | 860 | 885 | 169 | - | 20 | 655 | 2,589 |
| წმინდა საბალანსო ღირებულება | | | | | | | | |
| **დეკემბერი 31, 2011** | **16,372** | **804** | **978** | **106** | **522** | **1,324** | **770** | **20,876** |
| **დეკემბერი 31, 2010** | **17,573** | **1,120** | **1,138** | **167** | **-** | **1,241** | **1,270** | **22,509** |
| **იანვარი 1, 2010** | **17,706** | **1,406** | **1,358** | **284** | **30** | **1,671** | **1,544** | **23,999** |

2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის და 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ცვეთას სრულად დაქვემდებარებული ძირითადი საშუალებები შეადგენდა 600 ათას, 284 ათას და 128 ათას ლარს, შესაბამისად.

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის კუთვნილი მიწა და შენობები გადაფასდა საბაზრო ღირებულებით დამოუკიდებელი ექსპერტის შეფასებაზე დაყრდნობით. გაყიდვების შედარების მიდგომა - ადგენს უძრავ ქონებაზე საბაზრო ფასების ლიმიტებს, ფასების გამორკვევის საშუალებით, რაც დადგენილია უძრავი ქონების მყიდველებისათვის. გაყიდვები გამოკვლეულია, რათა გარიგების მხარეები მოტივირებული იყოს. გასაყიდი ფასები ასახავს ტიპიური ბაზრის მონაწილეთა მოტივაციას, ანუ სპეციალური გარიგებების ტრანზაქციები, რომლებსაც აქვთ სურვილი გადაიხადონ დანამატი განსაკუთრებული ქონებისათვის უნდა აღმოიფხვრას. ამის შედეგად, ამ შენობების საბალანსო ღირებულებამ შეადგინა 16,372 ათას ლარი 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

## 18. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება მოიცავს:

| | 2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის | 2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის | 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის |
|---|---|---|---|
| **ღირებულება** | | | |
| 1 იანვრის მდგომარეობით | 2,034 | 2,194 | 1,337 |
| შესყიდვა | 1,196 | 810 | 1,294 |
| რეალიზაცია | (566) | (1,070) | - |
| ქონების გადაფასებით მიღებული მოგება/(ზარალი) | (19) | 100 | (437) |
| **31 დეკემბერი** | **2,645** | **2,034** | **2,194** |

საოპერაციო ლიზინგის შედეგად მიღებულ შემოსავალში შეტანილია საინვესტიციო ქონების გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი, 2011 და 2010 წლების 31 დეკემბრით და 2010 წლის 1 იანვრით დასრულებული წლისათვის; მთლიანმა თანხამ შეადგინა 392 ათასი 318 ათასი ლარი და 144 ათასი, შესაბამისად.

2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის და 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ბანკის საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება დადგენილ იქნა აღნიშნულ თარიღებში დამოუკიდებელი შემფასებლის, ბეიკერ ტილი ჯორჯიას მიერ წარმოდგენილი შეფასების საფუძველზე. ბეიკერ ტილი ჯორჯიას არ აქვს რაიმე კავშირი ბანკთან, გააჩნია სათანადო კვალიფიკაცია და უკანასკნელ პერიოდში ჰქონდა შესაბამის ადგილას მდებარე ქონების შეფასების გამოცდილება. შეფასება მიღებულ იქნა მსგავსი ქონების ფასების საბაზრო მონაცემებზე დაყრდნობით.

## 19. ᲐᲠᲐᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ

არამატერიალური აქტივები მოიცავს:

| | |
|---|---|
| **თვითღირებულება** | |
| **იანვარი 1, 2010** | 941 |
| შესყიდვა | 26 |
| **დეკემბერი 31, 2010** | 967 |
| შესყიდვა | 167 |
| **დეკემბერი 31, 2011** | 1,134 |
| **დაგროვილი ამორტიზაცია** | |
| **იანვარი 1, 2010** | (238) |
| ამორტიზაციის დარიცხვა | (136) |
| **დეკემბერი 31, 2010** | (374) |
| ამორტიზაციის დარიცხვა | (168) |
| **დეკემბერი 31, 2011** | (542) |
| **წმინდა საბალანსო ღირებულება** | |
| **დეკემბერი 31, 2011** | **592** |
| **დეკემბერი 31, 2010** | **593** |
| **იანვარი 1, 2010** | **703** |

## 20. სხვა აქტივები

სხვა აქტივები მოიცავს:

| | დეკემბერი 31, 2011 | დეკემბერი 31, 2010 | იანვარი 1, 2010 |
|---|---|---|---|
| **სხვა ფინანსური აქტივები:** | | | |
| მოთხოვნები სხვა გარიგებებზე | 347 | 124 | 325 |
| წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები | - | - | 214 |
| | 347 | 124 | 539 |
| **სხვა არაფინანსური აქტივები:** | | | |
| საგადასახადო მოთხოვნები, მოგების გადასახადის გარდა | 235 | 199 | 256 |
| ავანსი ძირითადი საშუალებების შესყიდვაზე | - | - | 194 |
| ავანსი საოპერაციო ხარჯებზე | 1,501 | 1,221 | 1,997 |
| | 1,736 | 1,420 | 2,447 |
| სულ სხვა აქტივები | **2,083** | **1,544** | **2,986** |

## 21. გირაოში დარჩენილი ქონება

| | დეკემბერი 31, 2011 | დეკემბერი 31, 2010 | იანვარი 1, 2010 |
|---|---|---|---|
| მიწა | 1,960 | 2,162 | 2,342 |
| შენობები | 6,107 | 5,733 | 5,866 |
| სატრანსპორტო საშუალებები | - | - | 130 |
| **სულ გირაოში დარჩენილი ქონება** | **8,067** | **7,895** | **8,338** |

გასაყიდად განკუთვნილი გირაოში დარჩენილი ქონება მოიცავს თბილისში და საქართველოს სხვა რეგიონებში არსებულ მიწას, შენობებსა და სატრანსპორტო საშუალებებს. ბანკს განზრახული აქვს ამ აქტივების რეალიზაცია და ამ გარიგების განხორციელება იგეგმება 2012 წელს.

2011 წლის 31 დეკემბერს ბანკმა გადააფასა გირაოში დარჩენილი ქონება. ცალკეული აქტივებისთვის რეალური ღირებულება აღმოჩნდა საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები. შესაბამისად ამგვარი აქტივების აღიარება მოხდა რეალური ღირებულებით.

## 22. ვალდებულებები ბანკების მიმართ

ვალდებულებები ბანკების მიმართ მოიცავს:

| | დეკემბერი 31, 2011 | დეკემბერი 31, 2010 | იანვარი 1, 2010 |
|---|---|---|---|
| სხვა ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშები | 378 | 6 | 6 |
| სხვა ფინანსური ინსტიტუტებისა და ბანკებისაგან მიღებული ვადიანი დეპოზიტები | 6,042 | 900 | - |
| **სულ ვალდებულებები ბანკების მიმართ** | **6,420** | **906** | **6** |

2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის და 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ვალდებულებებმა ბანკების მიმართ მოიცვა დარიცხული პროცენტი და შეადგინა 2 ათასი, ნული და ნული ლარი შესაბამისად.

2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის და 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ვალდებულებები ბანკების მიმართ მოიცავდა 3,341 ათას, 900 ათას და ნულ ლარს (სულ ბანკების მიმართ ნაშთების 52%, 100% და 0%), რომელიც ეკუთვნოდა ერთ ბანკს, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან კონცენტრაციას.

## 23. ვალდებულებები კლიენტების მიმართ

ვალდებულებები კლიენტების მიმართ მოიცავს:

| | დეკემბერი 31, 2011 | დეკემბერი 31, 2010 | იანვარი 1, 2010 |
|---|---|---|---|
| ვადიანი დეპოზიტები | 12,453 | 6,606 | 31,020 |
| მოთხოვნამდე ანგარიშები | 14,783 | 13,341 | 27,301 |
| **სულ ვალდებულებები კლიენტების მიმართ** | **27,236** | **19,947** | **58,321** |

2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის და 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ვალდებულებებმა კლიენტების მიმართ მოიცვა დარიცხული პროცენტი და შეადგინა 414 ათასი, 119 ათასი და 2,671 ათასი ლარი შესაბამისად.

2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის და 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ვალდებულებები კლიენტების მიმართ 1,673 ათასი, 84 ათასი და 9,113 ათასი ლარის ოდენობით შესაბამისად წარმოადგენს გაცემული გარანტიების უზრუნველყოფას.

2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის და 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ვალდებულებებმა კლიენტების მიმართ შეადგინა 11,015 ათასი, 10,969 ათასი და 44,284 ათასი ლარი შესაბამისად, რომელიც ეკუთვნოდა ათ კლიენტს, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან კონცენტრაციას.

| | დეკემბერი 31, 2011 | დეკემბერი 31, 2010 | იანვარი 1, 2010 |
|---|---|---|---|
| **ანალიზი ეკონომიკური დარგების მიხედვით:** | | | |
| ფიზიკური პირები | 13,050 | 6,184 | 7,446 |
| ვაჭრობა | 7,828 | 7,639 | 24,604 |
| უძრავი ქონება | 2,115 | 2,548 | 16,113 |
| საცალო ვაჭრობა | 1,762 | 1,171 | 8,110 |
| მშენებლობა | 1,207 | 773 | 878 |
| სოფლის მეურნეობა | 389 | - | - |
| საფინანსო სექტორი | 117 | - | - |
| ტრანსპორტი და კომუნიკაცია | 6 | 5 | 152 |
| სამთო მოპოვება და მეტალურგია | 1 | 51 | 31 |
| სხვა | 761 | 1,576 | 987 |
| **სულ ვალდებულებები კლიენტების მიმართ** | **27,236** | **19,947** | **58,321** |

## 24. სხვა ნასესხები სახსრები

სხვა ნასესხები სახსრები მოიცავს:

| | ვალუტა | დაფარვის ვადა | ნომინა-ლური საპრო-ცენტო განაკვეთი % | დეკემბერი 31, 2011 | ნომინა-ლური საპრო-ცენტო განაკვეთი % | დეკემბერი 31, 2010 | ნომინა-ლური საპრო-ცენტო განაკვეთი % | იანვარი 1, 2010 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სს ბითიეი ბანკი ყაზახეთი | აშშ დოლარი | 14-ნოემბერი-14 | 10% | 2,178 | 10% | 3,103 | 10% | 3,703 |
| სს ბითიეი ბანკი ყაზახეთი | აშშ დოლარი | 11-თებერვალი-14 | 12% | 1,755 | 12% | 1,680 | 18% | 1,450 |
| სს ბითიეი ბანკი ყაზახეთი | აშშ დოლარი | 18- თებერვალი -14 | 12% | 1,331 | 12% | 1,273 | - | - |
| სს ბითიეი ბანკი ყაზახეთი | აშშ დოლარი | 18- თებერვალი -14 | 12% | 9,678 | 12% | 9,258 | 18% | 8,819 |
| სს ბითიეი ბანკი ყაზახეთი | აშშ დოლარი | 4-მარტი-14 | 12% | 410 | 12% | 391 | - | - |
| სს ბითიეი ბანკი ყაზახეთი | აშშ დოლარი | 4- მარტი -14 | 12% | 3,889 | 12% | 3,718 | 18% | 3,437 |
| სს ბითიეი ბანკი ყაზახეთი | აშშ დოლარი | 28-მაისი-14 | 12% | 10,022 | 12% | 9,645 | 18% | 8,119 |
| სს ბითიეი ბანკი ყაზახეთი | აშშ დოლარი | 27-აგვისტო-14 | 12% | 10,843 | 12% | 10,408 | 18% | 8,731 |
| სს ბითიეი ბანკი ყაზახეთი | აშშ დოლარი | 25-ოქტომბერი-14 | 12% | 8,941 | 12% | 8,562 | 18% | 7,271 |
| **სულ სხვა ნასესხები სახსრები** | | | | **49,047** | | **48,038** | | **41,530** |

2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის და 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სხვა ნასესხებმა სახსრებმა მოიცვა დარიცხული პროცენტი და შეადგინა 9,636 ათასი, 5,422 ათასი და 1,684 ათასი ლარი შესაბამისად.

## 25. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები მოიცავს:

| | დეკემბერი 31, 2011 | დეკემბერი 31, 2010 | იანვარი 1, 2010 |
|---|---|---|---|
| **სხვა ფინანსური ვალდებულებები:** | | | |
| კრედიტორები | 414 | 304 | 212 |
| **სხვა არა-ფინანსური ვალდებულებები:** | | | |
| რეზერვი გარანტიებსა და სხვა პირობით ვალდებულებებზე | 118 | 118 | 117 |
| რეზერვები სასამართლო დავებზე | 100 | 100 | - |
| გამოუყენებელი შვებულების რეზერვი | - | 89 | 109 |
| მიღებული ავანსები | 270 | - | - |
| საგადასახადო ვალდებულებები მოგების გადასახადის გარდა | - | 12 | 52 |
| სხვა | 6 | 16 | 4 |
| **სულ სხვა ვალდებულებები** | **908** | **639** | **494** |

2011 და 2010 წლების 31 დეკემბრით დასწულებული წლისათვის მოძრაობა გარანტიების რეზერვის ხარჯში და სხვა ხარჯებში მოცემულია მე-6 შენიშვნაში.

## 26. სუბორდინირებული სესხი

სუბორდინირებული სესხი შეადგენს:

| | ვალუტა | დაფარვის ვადა | ნომინა-ლური საპრო-ცენტო განაკვეთი % | საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი | დეკემბერი 31, 2011 | დეკემბერი 31, 2010 | იანვარი 1, 2010 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სუბორდინირებული სესხი დაკავშირებული მხარეებისაგან | აშშ დოლარი | 14-მარტი-13 | 9% | 9% | 2,528 | 2,683 | 2,551 |
| **სულ სუბორდინირებული სესხი** | | | | | **2,528** | **2,683** | **2,551** |

2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის და 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სუბორდინირებულმა სესხმა მოიცვა დარიცხული პროცენტი და შეადგინა 23 ათასი, 24 ათასი და 23 ათასი ლარი შესაბამისად.

ბანკის გაკოტრების, ან ლიკვიდაციის შემთხვევაში ამ სესხის გადახდა განხორციელდება ბანკის მიერ სხვა კრედიტორებისათვის ვალდებულებების დაფარვის შემდგომ.

## 27. სააქციო კაპიტალი

2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის და 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბანკის განცხადებული ჩვეულებრივი აქციები შეადგენდა 30,000 ათას ლარს, თითოეული აქციის 1 ლარის ოდენობის ნომინალური ღირებულებით. განცხადებული ჩვეულებრივი აქციები სრულად არის გამოცემული და გადახდილი.

## 28. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

ბანკი თავისი ჩვეული საქმიანობის პროცესში კლიენტების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით იყენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს გარე-საბალანსო რისკებით. აღნიშნული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა ხარისხის საკრედიტო რისკს, არ არის ასახული ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში.

ბანკი არასაბალანსო ვალდებულებებთან მიმართებაში იმავე საკრედიტო და მართვის პოლიტიკით ხელმძღვანელობს, რომელსაც იყენებს საბალანსო ოპერაციებში.

2011, 2010 წლების 31 დეკემბრის და 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბანკს გააჩნდა პირობით ვალდებულებებზე დანაკარგების რეზერვის ხარჯი 118 ათასი, 118 ათასი და 117 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად.

2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით პირობითი ვალდებულებები მოიცავს:

| | დეკემბერი 31, 2011 | დეკემბერი 31, 2010 |
|---|---|---|
| **პირობითი და საკრედიტო ვალდებულებები** | | |
| გაცემული გარანტიები და სხვა მსგავსი პირობითი ვალდებულები | 3,280 | 1,337 |
| სასესხო და აუთვისებელი საკრედიტო ხაზების ვალდებულებები | 2,272 | 1,238 |
| **სულ პირობითი და საკრედიტო ვალდებულებები** | **5,552** | **2,575** |

საკრედიტო ხაზის ლიმიტის ფარგლებში კლიენტებზე სესხების გაცემა მტკიცდება ბანკის მიერ თითოეული შემთხვევის განხილვის საფუძველზე, რომელიც დამოკიდებულია მსესხებლის ფინანსურ მდგომარეობაზე, სესხის მომსახურებასა და სხვა პირობებზე. 2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის და 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ასეთი სახის გამოუყენებელმა საკრედიტო ხაზებმა შესაბამისად შეადგინა 2,272 ათასი, 1,238 ათასი და 2,862 ათასი ლარი.

***პირობითი ვალდებულებები*** – 2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის და 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბანკს არ გააჩნდა პირობითი ვალდებულებები.

***ვალდებულებები საოპერაციო ლიზინგზე*** – 2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის და 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბანკს არ გააჩნდა არსებითი საიჯარო ვალდებულებები.

***სასამართლო დავები*** – დროდადრო ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირებისას, ჩნდება კლიენტებისა და კონტრაგენტების პრეტენზიები ბანკის მიმართ. ამ ფინანსურ ანგარიშგებაში ბანკის მიერ შეიქმნა რეზერვი 100 ათასი ლარის ოდენობით .

***გადასახადები*** –საქართველოს კომერციულ და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საშიშროება საგადასახადო ორგანოების მიერ ბიზნესის საქმიანობის შემთხვევითი შეფასებისა. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კანონის თავისებურად გაგებას არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ამან შეიძლება გამოიწვიოს დამატებითი გადასახადების, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვა.

ამგვარმა უზუსტობებმა შეიძლება თავი იჩინოს კლიენტების სესხების და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის და რეზერვის აღდგენაზე დროებითი განსხვავებების შეფასებისას, რაც იწვევს დასაბეგრი მოგების უფრო ნაკლებად წარმოდგენას. ბანკის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ გადასახადის ყველა თანხა უკვე დარიცხულია და ამასთან არცერთი შესწორება არ გაკეთებულა ფინანსურ ანგარიშგებაში.

***საოპერაციო გარემო*** – ბანკი ძირითადად საქართველოში საქმიანობს. მარეგულირებელი კანონმდებლობა, რომელიც ბიზნეს-გარემოზე ახდენს ზემოქმედებას, სწრაფად იცვლება. პოლიტიკური სიტუაციისა და ბიზნეს-გარემოს უარყოფითმა ცვლილებამ შეიძლება რისკის ქვეშ დააყენოს ბანკის აქტივები და საქმიანობა.

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით. როგორც წარსულში ხდებოდა, რეალურ, ან მოსალოდნელ ფინანსურ პრობლემებს, ან განვითარებად ეკონომიკაში ინვესტიციების ჩადებასთან დაკავშირებული მოსალოდნელი რისკების ზრდა შეიძლება უარყოფითად მოქმედებდეს საქართველოში საინვესტიციო კლიმატზე და ზოგადად საქართველოს ეკონომიკაზე.

წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი, და სხვა კანონიერი და ფისკალური დაბრკოლებები სირთულეებს უქმნის საქართველოში ამჟამად მომუშავე საწარმოებს. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და ფულადი პოლიტიკის ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური გარემოს განვითარების პარალელურად.

გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა, რომელმაც უარყოფითი გავლენა მოახდინა საქართველოს კაპიტალისა და საკრედიტო ბაზრებზე 2009 და 2010 წლებში ჩაიარა და 2011 წლიდან საქართველოს ეკონომიკამ ზრდა დაიწყო. თუმცა ისევ არსებობს არსებითი ეკონომიური გაურკვევლობა. გლობალურ ფინანსურ სისტემაში არსებულმა სისტემური რისკებით გამოწვეულმა უარყოფითმა ცვლილებებმა, მათ შორის საკრედიტო გარემოს შეზღუდვამ შეიძლება შეანელოს ან ხელი შეუშალოს ეკონომიკის განვითარებას საქართველოში, უარყოფითად იმოქმედოს კაპიტალის ხელმისაწვდომობაზე და ღირებულებაზე კომპანიისთვის და უფრო ზოგადად მის საქმიანობაზე, ოპერაციების შედეგებზე და ფინანსურ მდგომარეობასა და პერსპექტივებზე.

***საპენსიო გეგმები*** – თანამშრომლები პენსიას საქართველოს მთავრობისაგან იღებენ საქართველოს კანონმდებლობისა და ნორმების შესაბამისად. 2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის და 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბანკს არ გააჩნდა დამატებითი პენსიები, პენსიაზე გასვლის შემდგომ ჯანმრთელობის დაზღვევის ვალდებულება, ან საპენსიო კრედიტები არსებულ, ან ყოფილ თანამშრომლებზე.

## 29. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

გარიგებები ბანკსა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის წარმოდგენილია ქვემოთ:

| | დეკემბერი 31, 2011 | | დეკემბერი 31, 2010 | |
|---|---|---|---|---|
| | დაკავშირე-ბული მხარეების ნაშთები | კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მუხლის მიხედვით | დაკავშირე-ბული მხარეების ნაშთები | კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მუხლის მიხედვით |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | 377 | 5,024 | 328 | 15,230 |
| - *დამფუძნებელი* | 376 | | 327 | |
| - *სხვა დაკავშირებული მხარეები* | 1 | | 1 | |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 404 | 78,428 | 302 | 57,532 |
| - *ბანკის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა* | 404 | | 302 | |
| გაუფასურების დანაკარგების რეზერვი კლიენტებზე გაცემულ სესხებზე | (34) | (6,624) | (27) | (9,311) |
| - *ბანკის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა* | (34) | | (27) | |
| ვალდებულებები ბანკების მიმართ | 11 | 6,420 | 4 | 906 |
| - *დამფუძნებელი* | 4 | | 4 | |
| - *კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ* | 7 | | - | |
| ვალდებულებები კლიენტების მიმართ | 1,613 | 27,236 | 11 | 19,947 |
| - *ბანკის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა* | 128 | | 11 | |
| - *სხვა დაკავშირებული მხარეები* | 1,485 | | - | |
| სხვა ნასესხები სახსრები | 49,047 | 49,047 | 48,038 | 48,038 |
| - *დამფუძნებელი* | 49,047 | | 48,038 | |
| სუბორდინირებული სესხი | 2,528 | 2,528 | 2,683 | 2,683 |
| - *დამფუძნებელი* | 2,528 | | 2,683 | |
| აუთვისებელი სასესხო ვალდებულებები | 20 | 2,272 | 2 | 1,238 |
| - *ბანკის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა* | 20 | | 2 | |

დავალიანების თანხები არ არის უზრუნველყოფილი და ანგარიშსწორება განხორციელდება ნაღდი ანგარიშსწორებით. ხარჯის აღიარება არ მომხდარა დაკავშირებული მხარეების უიმედო ან საეჭვო ვალებთან მიმართებაში მიმდინარე პერიოდში.

დირექტორების, ზედამხედველობის საბჭოსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელების ანაზღაურებამ შეადგინა:

| | 2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი | | 2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი | |
|---|---|---|---|---|
| | გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან | კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მუხლის მიხედვით | გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან | კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მუხლის მიხედვით |
| **უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება:** | | | | |
| - *თანამშრომელთა მოკლევადიანი ანაზღაურება* | 654 | 4,369 | 595 | 4,280 |
| **სულ** | **654** | **4,369** | **595** | **4,280** |

2011 და 2010 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის სრული მოგება-ზარალის ანგარიში მოიცავს შემდეგ თანხებს, რომლებიც დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების შედეგად წარმოიშვა:

| | 2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი | | 2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი | |
|---|---|---|---|---|
| | გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან | კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მუხლის მიხედვით | გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან | კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მუხლის მიხედვით |
| საპროცენტო შემოსავალი | 58 | 12,144 | 52 | 12,405 |
| - *ბანკის ან დამფუძნებლის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა* | 58 | | 52 | |
| საპროცენტო ხარჯი | (5,065) | (6,393) | (5,935) | (7,725) |
| - *დამფუძნებელი* | (5,062) | | (5,933) | |
| - *ბანკის ან დამფუძნებლის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა* | (3) | | - | |
| - *სხვა დაკავშირებული მხარეები* | - | | (2) | |
| საოპერაციო ხარჯები | (654) | (11,510) | (595) | (11,921) |
| - *ბანკის ან დამფუძნებლის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა* | (654) | | (595) | |

## 30. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება წარმოადგენს თანხას, რომელზეც ინსტრუმენტი შეიძლება გაიცვალოს გარიგების მოსურნე გათვითცნობიერებულ მხარეებს შორის კომერციული ოპერაციის შედეგად გარდა სალიკვიდაციო და იძულებითი გარიგებებისა.

### აქტივები, რომელთა რეალური ღირებულება უტოლდება საბალანსო ღირებულებას

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება უტოლდება რეალურ ღირებულებას, იმ შემთხვევაში თუ მათ გააჩნიათ ხანმოკლე დაფარვის ვადა (3 თვეზე ნაკლები). ეს დაშვება ასევე ეხება მოთხოვნამდე დეპოზიტებსა და შემნახველ ანგარიშებს, რომლებსაც არ გააჩნიათ დაფარვის ვადა.

### ბანკებზე გაცემული სესხები და ავანსები

ბანკებზე გაცემული სესხების და ავანსების რეალური ღირებულების შეფასება მოხდა იმავე მეთოდების გამოყენებით, რაც ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებისას, რეალური ღირებულებით, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ შეფასების მეთოდებშია აღწერილი.

### კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები

კლიენტებზე სესხები და ავანსები გაიცემა, როგორც ცვალებად ასევე ფიქსირებულ განაკვეთებში. რადგან საქართველოში არ არსებობს სესხებისა და ავანსების მეორადი ბაზარი, ასევე არ არსებობს სარწმუნო ხელმისაწვდომი საბაზრო ღირებულება ამ პორტფელისათვის.

(a) ცვლადი განაკვეთი – ხელმძღვანელობის აზრით საბალანსო ღირებულება შეიძლება რეალურ ღირებულებად მივიჩნიოთ.

(b) ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი – ზოგიერთ უზრუნველყოფილ სესხს აქვს ფიქსირებული განაკვეთი. რეალური ღირებულება გამოითვლება ბაზარზე ხელმისაწვდომი განაკვეთების შედარებით საანგარიშგებო თარიღში ანალოგიური სესხებისათვის, რომელთა დარჩენილი ფიქსირებული პერიოდის ვადა ტოლია.

### გასაყიდად არსებული ფინანსური ინვესტიციები

გასაყიდად განკუთვნილი ფინანსური აქტივების შესაფასებლად გამოყენებული ტექნიკა ან შეფასების მოდელები ძირითადად შედგება არაკოტირებული კაპიტალისა და სავალო ფასიანი ქაღალდებისაგან.

ამ აქტივების შეფასება მოხდა შეფასების მოდელებით, რომლებშიც გამოყენებულია როგორც დაკვირვებადი, ასევე არადაკვირვებადი მონაცემები. მოდელის არადაკვირვებად კომპონენტებს შორისაა ინვესტირების ობიექტის მომავალი ფინანსური მდგომარეობის პროგნოზი, რისკის პროგნოზი, ინვესტირების ობიექტის მოღვაწეობის სფეროს ეკონომიკური პროგნოზები და იურისდიქციასთან მიმართებაში გაკეთებული დაშვებები.

გარდა ქვემოთ მითითებული გამონაკლისებისა, ბანკის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება მიახლოებულია რეალურ ღირებულებასთან:

| | დეკემბერი 31, 2011 | | დეკემბერი 31, 2010 | |
|---|---|---|---|---|
| | საბალანსო ღირებულება | რეალური ღირებულება | საბალანსო ღირებულება | რეალური ღირებულება |
| ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 7,266 | 7,266 | 5,826 | 5,826 |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | 5,024 | 5,024 | 15,230 | 15,230 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 71,804 | 66,706 | 48,221 | 46,292 |
| დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები | 3,533 | 3,511 | 4,371 | 4,371 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 347 | 347 | 124 | 124 |
| ვალდებულებები ბანკების მიმართ | 6,420 | 6,420 | 906 | 906 |
| ვალდებულებები კლიენტების მიმართ | 27,236 | 26,093 | 19,947 | 19,214 |
| სხვა ნასესხები სახსრები | 49,047 | 44,005 | 48,038 | 47,811 |
| სუბორდინირებული სესხი | 2,528 | 2,409 | 2,683 | 2,158 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 414 | 414 | 304 | 304 |

ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება განსაზღვრული იყო ბანკის მიერ შესაძლებელი საბაზრო ინფორმაციით, სადაც იგი არსებობს სათანადო შეფასების მეთოდოლოგიის გამოყენებით. თუმცა გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა განსაზღვრავდეს საბაზრო მონაცემების სავარაუდო რეალურ ღირებულებას. საქართველო აგრძელებს განვითარებადი ბაზრის რამდენიმე მახასიათებლის გამოვლენას და ეკონომიკური პირობები აგრძელებს ფინანსური ბაზრების საქმიანობის შეზღუდვებს.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება განისაზღვრება შემდეგნაირად:

- რეალური ღირებულება სტანდარტული წესებითა და პირობებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების, რომლებიც ივაჭრება სხვადასხვა ლიკვიდურ ბაზრებზე, განისაზღვრება კოტირებული საბაზრო ფასების მიხედვით (მოიცავს გამოქვეყნებულ გამოსყიდულ ობლიგაციებს (ვალდებულებებს), თამასუქებს, სხვადასხვა და მუდმივმოქმედ ვალდებულებებს).
- ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გარდა დერივატივებისა) რეალური ღირებულებით აღირიცხება პრაქტიკაში მიღებული ფასწარმოქმნის მოდელების და დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზის შედეგად, ბაზარზე არსებული გარიგებების მიხედვით დილერების ფასების კოტირებით მსგავს ფინანსურ ინსტრუმენტებზე.

## 31. კაპიტალის რისკის მართვა

კაპიტალის მართვისას ბანკის მიზანია, შეასრულოს კაპიტალის მოთხოვნები დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის ("სებ") მიერ - დაიცვას ბანკის ფუნქციონირების გაგრძელება, როგორც მოქმედმა საწარმომ და შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალის ბაზა კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის მისაღწევად, არანაკლებ 12%-ისა.

ბანკის საერთო პოლიტიკა კაპიტალის რისკთან მიმართებაში უცვლელია 2010 წლიდან.

სებ-ის მიერ დადგენილი მიმდინარე კაპიტალით ბანკები ვალდებულნი არიან : ა) ფლობდნენ სააქციო კაპიტალის მინიმალურ დონეს - 12,000 ათასი ლარი; ბ) შეინარჩუნონ რისკების მიხედვით შეწონილი აქტივები მარეგულირებელი კაპიტალის კოეფიციენტი და რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები („საწესდებო კაპიტალის კოეფიციენტი") დადგენილი 12 % ან მეტი და გ) შეინარჩუნონ საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი რისკის მიხედვით შეწონილ აქტივები (პირველადი კაპიტალის კოეპიციენტი) დადგენილი 8 % ან მეტი.

შემდეგი ცხრილი აანალიზებს ბანკის მიერ კაპიტალის ადეკვატურობის მიზნებისათვის საზედამხედველო კაპიტალის რესურსებს ბაზელის კომიტეტის მიერ დადგენილი პრინციპების შესაბამისად:

| | 2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის | 2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის |
|---|---|---|
| მოძრაობები პირველად კაპიტალში: | | |
| 1 იანვარი | 34,562 | 36,067 |
| წლის წმინდა მოგება /(ზარალი) | 481 | (1,698) |
| სხვა სრული შემოსავალი | (708) | 193 |
| 31 დეკემბერი | 34,335 | 34,562 |

| | დეკემბერი 31, 2011 | დეკემბერი 31, 2010 |
|---|---|---|
| საზედამხედველო კაპიტალის შემადგენლობა: | | |
| პირველადი კაპიტალი: | | |
| სააქციო კაპიტალი | 30,000 | 30,000 |
| დაგროვილი ზარალი | (422) | (1,017) |
| გადაფასების რეზერვი | 4,757 | 5,579 |
| სულ კვალიფიცირებული პირველადი კაპიტალი | 34,335 | 34,562 |
| სუბორდინირებული სესხი | 2,528 | 2,683 |
| სულ საზედამხედველო კაპიტალი | 36,863 | 37,245 |
| კაპიტალის კოეფიციენტები: | | |
| პირველადი კაპიტალი | 25.75% | 31.48% |
| სულ კაპიტალი | 32.09% | 40.46% |

კაპიტალის ადეკვატურობის უზრუნველსაყოფად სტანდარტებით დაწესებული რაოდენობრივი საზომები ბანკისაგან მოითხოვს მთლიანი კაპიტალის (8%) და პირველადი კაპიტალის (4%) რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების მინიმალური ნაშთების და კოეფიციენტების შენარჩუნებას.

2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კაპიტალის ადეკვატურობის მიზნებისათვის ბანკის მთლიანი კაპიტალის გამოთვლაში სუბორდინირებული სესხი 50 %-ით შემოიფარგლება საზედამხედველო კაპიტალთან მიმართებაში. ბანკის გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში ამ ვალდებულების დაფარვა მოხდება ბანკის ყველა სხვა კრედიტორთა ვალდებულებების გადახდის შემდგომ.

## 32. რისკის მართვის პოლიტიკა

რისკების მართვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საბანკო საქმიანობაში და არის ბანკის ოპერაციების მნიშვნელოვანი ელემენტი. ბანკის საქმიანობისათვის დამახასიათებელი ძირითადი რისკები მოიცავს:

- საკრედიტო რისკს
- ლიკვიდობის რისკს
- საბაზრო რისკს

ბანკი აღიარებს, რომ რისკის ეფექტური მართვის პროცესების არსებობა მნიშვნელოვანია. ამისათვის ბანკმა დაადგინა რისკის მართვის გარემო, რომლის უმთავრესი მიზანია ბანკი დაიცვას რისკისაგან და საშუალება მისცეს მიაღწიოს საკუთარ მიზნებს.

### საკრედიტო რისკი

ბანკი ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული რომელიმე მხარე ვერ შეძლებს დაკისრებული ვალდებულების შესრულებას, რის შედეგადაც მეორე მხარეს მიადგება ფინანსური ზარალი.

ბანკი მართავს და აკონტროლებს საკრედიტო რისკს შეზღუდვების დაწესებით რისკის იმ ოდენობაზე, რომელიც ის მზად არის, რომ მიიღოს ცალკეული კონტრაგენტების, გეოგრაფიული და დარგობრივი კონცენტრაციის მიხედვით, და ასევე აკონტროლებს რისკის დაქვემდებარებას ასეთ შეზღუდვებთან მიმართებაში.

ბანკმა ჩამოაყალიბა საკრედიტო ხარისხის განხილვის პროცესი, რათა უზრუნველყოს კონტრაგენტთა კრედიტუნარიანობის შესაძლებელი ცვლილებების ადრეული იდენტიფიკაცია, უზრუნველყოფის ოდენობის პერიოდული გადახედვის ჩათვლით. კონტრაგენტების ლიმიტები დგინდება საკრედიტო რისკის კლასიფიკაციის სისტემის გამოყენებით, რომელიც თითოეულ კონტრაგენტს ანიჭებს საკრედიტო რისკის რეიტინგს. რისკის რეიტნგები ექვემდებარება რეგულარულ გადახედვას. საკრედიტო ხარისხის განხილვის პროცესი საშუალებას აძლევს ბანკს თითოეული კონტრაგენტისთვის შეაფასოს მოსალოდნელი დანაკარგი, რომელიც გამოწვეულია იმ რისკით, რომელსაც ის ექვემდებარება და მიიღოს შესაბამისი ზომები.

## საკრედიტო რისკისადმი დაქვემდებარების მაქსიმალური ოდენობა

ბანკის მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის მიმართ მნიშვნელოვნად ცვალებადია და დამოკიდებულია როგორც ინდივიდუალურ რისკებზე, ასევე საბაზრო ეკონომიკასთან დაკავშირებულ ზოგად რისკებზეც.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს საბალანსო და გარე-საბალანსო აქტივების მაქსიმალური საკრედიტო რისკისადმი დაქვემდებარებას. ბალანსში ფინანსურ აქტივებზე მაქსიმალური დაქვემდებარება უტოლდება აქტივების საბალანსო ღირებულებას გაქვითვამდე და უზრუნველყოფამდე. ბანკის მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკისადმი იმ შემთხვევაში თუ უზრუნველყოფა და ფასიანი ქაღალდები გაუფასურებულია და პირობითი ვალდებულებება, ან კრედიტის გაცემის ვალდებულება არ სრულდება, წარმოდგენილია ამ ინსტრუმენტების კონტრაქტით გათვალისიწინებული ღირებულებით.

| მაქსიმალური დაქვემდებარება | დეკემბერი 31, 2011 | დეკემბერი 31, 2010 |
|---|---|---|
| ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 3,079 | 3,643 |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | 5,024 | 15,230 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 71,804 | 48,221 |
| გასაყიდად არსებული ინვესტიციები | - | 40 |
| დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები | 3,533 | 4,371 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 347 | 124 |
| | | |
| გაცემული გარანტიები და მსგავსი პირობითი ვალდებულებები | 3,280 | 1,337 |
| სასესხო გარანტიები და აუთვისებელი საკრედიტო ხაზები | 2,272 | 1,238 |

## გარე-საბალანსო რისკი

ბანკი ძირითადად იმავე რისკის მართვის პოლიტიკას ატარებს გარე-საბალანსო რისკების მიმართ, როგორც საბალანსო რისკების. სასესხო ვალდებულებების შემთხვევაში მომხმარებლებზსა და კონტრაგენტებზე იმოქმედებს იგივე საკრედიტო მართვის პოლიტიკა, როგორც სესხებისა და ავანსების შემთხვევაში. უზრუნველყოფა შეიძლება მოთხოვნილ იქნას კონტრაგენტების სიძლიერისა და გარიგების ხასიათის მიხედვით.

## გეოგრაფიული კონცენტრაცია

აქტივების და ვალდებულებების მართვის კომიტეტი აკონტროლებს კანონმდებლობის და რეგულირების მოთხოვნებთან ბანკის საქმიანობის შესაბამისობას და აფასებს მათ გავლენას ბანკის საქმიანობაზე. ეს მეთოდი საშუალებას აძლევს ბანკს მინიმუმამდე დაიყვანოს საქართველოში არსებული საინვესტიციო გარემოს ცვლილებებთან დაკავშირებული შესაძლებელი დანაკარგები.

აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

| | საქართველო | სხვა არა ეგთო-ს ქვეყნები | ეგთო-ს ქვეყნები | დეკემბერი 31, 2011 სულ |
|---|---|---|---|---|
| **ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ** | | | | |
| ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 7,266 | - | - | 7,266 |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | 3,083 | 521 | 1,420 | 5,024 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 71,004 | 111 | 689 | 71,804 |
| დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები | 3,533 | - | - | 3,533 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 231 | 100 | 16 | 347 |
| ᲡᲣᲚ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ | 85,117 | 732 | 2,125 | 87,974 |
| **ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ** | | | | |
| ვალდებულებები ბანკების მიმართ | 6,409 | 11 | - | 6,420 |
| ვალდებულებები კლიენტების მიმართ | 22,019 | 3,372 | 1,845 | 27,236 |
| სხვა ნასესხები სახსრები | - | 49,047 | - | 49,047 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 318 | 96 | - | 414 |
| სუბორდინირებული სესხი | - | 2,528 | - | 2,528 |
| ᲡᲣᲚ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ | 28,746 | 55,054 | 1,845 | 85,645 |
| **ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ** | **56,371** | **(54,322)** | **280** | |

| | საქართველო | სხვა არა ეგთო-ს ქვეყნები | ეგთო-ს ქვეყნები | დეკემბერი 31, 2010 სულ |
|---|---|---|---|---|
| **ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ** | | | | |
| ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 5,826 | - | - | 5,826 |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | 12,391 | 2,839 | - | 15,230 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 48,221 | - | - | 48,221 |
| გასაყიდად არსებული ინვესტიციები | 40 | - | - | 40 |
| დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები | 4,371 | - | - | 4,371 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 124 | - | - | 124 |
| ᲡᲣᲚ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ | 70,973 | 2,839 | - | 73,812 |
| **ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ** | | | | |
| ვალდებულებები ბანკების მიმართ | 906 | - | - | 906 |
| ვალდებულებები კლიენტების მიმართ | 19,947 | - | - | 19,947 |
| სხვა ნასესხები სახსრები | - | 48,038 | - | 48,038 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 304 | - | - | 304 |
| სუბორდინირებული სესხი | - | 2,683 | - | 2,683 |
| ᲡᲣᲚ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ | 21,157 | 50,721 | - | 71,878 |
| **ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ** | **49,816** | **(47,882)** | **-** | |

## უზრუნველყოფა

უზრუნველყოფის მოთხოვნის რაოდენობა და სახეობა დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკის შეფასებაზე, უზრუნველყოფის სახეობებისა და შეფასების პარამეტრების განსაზღვრა ხდება დანერგილი ინსტრუქციების საფუძველზე.

უზრუნველყოფის ძირითადი სახეობებია:

- კომერციული დაკრედიტების შემთვევაში უძრავი ქონება;
- საცალო დაკრედიტების შემთვევაში საცხოვრებელი ქონება.

2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკი დაეუფლა გირაოში ჩადებულ ქონებას, რომელთა საბალანსო ღირებულება შეადგენს შესაბამისად 8,067 ათას და 7,895 ათას ლარს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის შედგენის თარიღისათვის და რომელიც გაყიდვის პროცესშია.

ხელმძღვანელობა ახორციელებს უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულების მონიტორინგს, შესაბამისი ხელშეკრულების მიხედვით დამატებითი უზრუნველყოფის მოთხოვნას და უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულების კონტროლს შესაბამისი მიმდინარე გაუფასურების გათვალისწინებით.

**საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების ტიპის მიხედვით**

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| | არც ვადაგადა-ცილებული და არც გაუფასუ-რებული | ვადაგადა-ცილებული მაგრამ არ გაუფასუ-რებული | ინდივიდუ-ალურად გაუფასუ-რებული | ჯგუფურად გაუფასუ-რებული | (გაუფასურების რეზერვი) | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | 5,024 | - | - | - | - | 5,024 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 795 | - | 12,951 | 64,682 | (6,624) | 71,804 |
| დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები | 3,533 | - | - | - | - | 3,533 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 347 | - | - | - | - | 347 |

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| | არც ვადაგადა-ცილებული და არც გაუფასუ-რებული | ვადაგადა-ცილებული მაგრამ არ გაუფასუ-რებული | ინდივიდუ-ალურად გაუფასუ-რებული | ჯგუფურად გაუფასუ-რებული | (გაუფასურების რეზერვი) | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | 15,230 | - | - | - | - | 15,230 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | - | - | 14,231 | 43,301 | (9,311) | 48,221 |
| გასაყიდად არსებული ინვესტიციები | 40 | - | - | - | - | 40 |
| დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები | 4,371 | - | - | - | - | 4,371 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 124 | - | - | - | - | 124 |

შემდეგი ცხრილი დეტალურად წარმოადგენს ბანკის ფინანსური აქტივების საკრედიტო რეიტინგს:

| **დეკემბრი 31, 2011** | ააა | აა | ა | ბბბ | <ბბბ | შეუფასე-ბელი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | - | 1,420 | - | - | 3,215 | 389 | 5,024 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | - | - | - | - | - | 71,804 | 71,804 |
| დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები | - | - | - | - | 3,533 | - | 3,533 |
| სხვა ფინანსური აქტივები | - | - | - | - | - | 347 | 347 |
| **დეკემბრი 31, 2010** | | | | | | | |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | - | 2,435 | - | - | 12,015 | 780 | 15,230 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | - | - | - | - | - | 48,221 | 48,221 |
| გასაყიდად არსებული ინვესტიციები | - | - | - | - | - | 40 | 40 |
| დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები | - | - | - | - | 4,371 | - | 4,371 |
| სხვა ფინანსური აქტივები | - | - | - | - | - | 124 | 124 |

ბანკს არ შეუმუშავებია საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოებისგან განსხვავებული კონტრაგენტის რეიტინგის განმსაზღვრელი შიდა მოდელები 2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთები სებ-ში შესაბამისად შეადგენს, 3,079 ათას და 3,643 ათას ლარს. საქართველოს საკრედიტო რეიტინგი, საერთაშორისო სააგენტოების რეიტინგების თანახმად შეესაბამება საინვესტიციო დონეს < ბბბ.

**სესხები და ავანსები, რომელთა პირობები შეიცვალა**

სესხებსა და ავანსებზე პირობების ცვლილება, როგორც წესი ხორციელდება კლიენტებთან ურთიერთობის განვითარების პროცესის ფარგლებში ან მსესხებლის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მოლაპარაკების შედეგად შესაძლოა გაგრძელდეს სესხის დაბრუნების ვადა ან შეიცვალოს გადახდის გეგმა. ამ დროს ბანკი შეღავათიან საპროცენტო განაკვეთს სთავაზობს იმ მსესხებლებს, რომლებიც ნამდვილად მძიმე ვითარებაში აღმოჩნდნენ. ამის შედეგად, აქტივი კვლავაც ვადაგადაცილებული რჩება და გაუფასურებულია თუ ხელმეორე მოლაპარაკების შედეგად დადგენილი თანხები – საპროცენტო განაკვეთი და ძირითადი თანხა, უფრო ნაკლებია აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებაზე. სხვა შემთხვევაში, მოლაპარაკებების შედეგად იდება ახალი ხელშეკრულება, რომელიც ახალ სესხად იქნება მიჩნეული.

<u>იმ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, რომელთა პირობების შეთანხმება შეიცვალა, კლასების მიხედვით:</u>

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, კლასების მიხედვით, რომელთა პირობები შეიცვალა:

| **ფინანსური აქტივების კლასი** | **დეკემბერი 31, 2011** | **დეკემბერი 31, 2010** |
|---|---|---|
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 5,587 | 8,583 |

საბანკო სექტორი ზოგადად ექვემდებარება საკრედიტო რისკს კლიენტებზე გაცემულ სესხებსა და ბანკთაშორის დეპოზიტებთან მიმართებაში. კლიენტებზე გაცემულ სესხებთან მიმართებაში, რისკების მოცულობა კონცენტრირებულია საქართველოში. საკრედიტო რისკის მონიტორინგი რეგულარულად ტარდება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ბანკის რისკის მართვის პოლიტიკით დადგენილი საკრედიტო ლიმიტებისა და კრედიტუნარიანობის მოთხოვნების დაცვა.

**ლიკვიდობის რისკი**

ლიკვიდობის რისკის მართვა

ლიკვიდობის რისკი ეხება დეპოზიტების გადინების და სხვა ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ბანკი დაუცველია ყოველდღიური შესაძლებელი ფულადი რესურსების მოთხოვნისაგან, ძირითადად მიმდინარე კლიენტთა ანგარიშებიდან. ბანკი არ ინარჩუნებს ფულად რესურსებს ყველა აღნიშნული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, როგორც გამოცდილება აჩვენებს, ვადიანი საინვესტიციო სახსრების დაბრუნების მინიმალური დონე შეიძლება დიდი სიზუსტით წინასწარ იყოს განსაზღვრული. ლიკვიდობის რისკს მართავს აქტივებისა და პასივების მართვის კომიტეტი.

ბანკი ისწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური დაფინანსების ბაზა, რაც მოიცავს ძირითადად სხვა ბანკების ვალდებულებებს, კორპორატიული და საცალო კლიენტების დეპოზიტებს და რესურსებს აბანდებს ლიკვიდური აქტივების დივერსიფიცირებულ პორტფელში, რათა სწრაფად და შეუფერხებლად უპასუხოს ლიკვიდობის მოთხოვნებს.

ბანკის ლიკვიდობის მართვა მოითხოვს ლიკვიდური აქტივების იმ დონის განსაზღვრას, რომელიც საჭიროა ვალდებულებების დასაფარად მათი ვადის დასრულებისას; მოითხოვს შენარჩუნებულ იყოს დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობის განაკვეთი; შენარჩუნებული იყოს დაფინანსების გეგმები და ხდებოდეს მონიტორინგი ბალანსის ლიკვიდობის კოეფიციენტისა მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად. ბანკი ლიკვიდობის კოეფიციენტს ანგარიშობს ყოველთვიურად საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნის შესაბამისად. კოეფიციენტი, რომლის მონიტორინგიც ხორციელდება არის ლიკვიდობის კოეფიციენტი, რომელიც გამოითვლება, როგორც თანაფარდობა მაღალი ლიკვიდურობის მქონე აქტივებისა მოთხოვნამდე ვალდებულებებთან (ექვს თვეზე ნაკლები ვადიანობის მქონე გარესაბალანსო ვალდებულებების ჩათვლით).

"სებ"-ის მიერ დადგენილი ინსტრუქციის თანახმად, ბანკი ანგარიშობს მყისიერ ლიკვიდობას, როგორც თანაფარდობას ყოველდღიურად საშუალოდ ლიკვიდური აქტივებისა საშუალო ყოველდღიურ ლიკვიდურ ვალდებულებებთან. ეს კოეფიციენტი გაანგარიშებულია ბანკის ფინანსური ანგარიშების ბალანსებზე დაყრდნობით .

საქართველოს ეროვნულ ბანკს დაწესებული აქვს ლიკვიდობის საჭირო მინიმალური დონე, რაც 2011 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით ბანკის მიერ შესრულებულია.

როცა გადასახდელი თანხა არ არის ფიქსირებული თანხა, ფასი განისაზღვრება მითითებულ პირობებში არსებული საანგარიშო თარიღით. უცხოური ვალუტის გადახდა ხორციელდება საანგარიშო თარიღით გამოყენებული გაცვლითი კურსით.

ლიკვიდობისა და საპროცენტო რისკის ანალიზი:

(ა) ფინანსური ვალდებულებების დაფარვის პირობა, რომელიც იანგარიშება ფინანსური ვალდებულებების (სესხის ძირი და პროცენტი) არადისკონტირებული ფულადი სახსრების მოძრაობისთვის ადრეული თარიღით, როდესაც ბანკი ვალდებული იქნება დაფაროს ვალდებულება;

(ბ) ფინანსური აქტივების დაფარვის პირობა, რომელიც იანგარიშება ფინანსურ აქტივებზე (პროცენტის ჩათვლით) არადისკონტირებული ფულადი სახსრების მოძრაობისთვის და რომელიც მიღებული იქნება აქტივებზე დაფარვის საკონტრაქტო პირობაზე დაყრდნობით, იმ შემთხვევების გამოკლებით, როდესაც ბანკი ვარაუდობს, რომ ფულადი სახსრების შემოდინება სხვა დროსაა მოსალოდნელი.

| | 1 თვემდე | 1-დან 3 თვემდე | 3 თვიდან 1 წლამდე | 1-დან 5 წლამდე | 5 წელზე მეტი | 2011 წლის 31 დეკემბერი, სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | | | | | |
| ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 2,938 | - | - | - | - | 2,938 |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | 3,052 | - | - | - | - | 3,052 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 2,290 | 2,382 | 8,119 | 40,449 | 18,564 | 71,804 |
| დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები | - | - | 1,070 | 2,463 | - | 3,533 |
| სულ საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსური აქტივები | 8,280 | 2,382 | 9,189 | 42,912 | 18,564 | 81,327 |
| არასაპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსური აქტივები | | | | | | |
| ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 4,328 | - | - | - | - | 4,328 |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | 1,972 | - | - | - | - | 1,972 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 181 | 7 | 159 | - | - | 347 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **14,761** | **2,389** | **9,348** | **42,912** | **18,564** | **87,974** |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | | | |
| ვალდებულებები ბანკების მიმართ | 6,042 | - | - | - | - | 6,042 |
| ვალდებულებები კლიენტების მიმართ | 6,000 | 739 | 8,948 | 1,773 | 310 | 17,770 |
| სხვა ნასესხები სახსრები | - | - | - | 49,047 | - | 49,047 |
| სუბორდინირებული სესხი | - | - | - | 2,528 | - | 2,528 |
| სულ საპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსური ვალდებულებები | 12,042 | 739 | 8,948 | 53,348 | 310 | 75,387 |
| არასაპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსური ვალდებულებები | | | | | | |
| ვალდებულებები ბანკების მიმართ | 378 | - | - | - | - | 378 |
| ვალდებულებები კლიენტების მიმართ | 9,466 | - | - | - | - | 9,466 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 235 | 49 | 63 | 67 | - | 414 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **22,121** | **788** | **9,011** | **53,415** | **310** | **85,645** |
| ლიკვიდობა | (7,360) | 1,601 | 337 | (10,503) | 18,254 | |
| **ჯამური ლიკვიდობა** | (7,360) | (5,759) | (5,422) | (15,925) | 2,329 | |
| საპროცენტო სარგებლის მგრძნობელობა | (3,762) | 1,643 | 241 | (10,436) | 18,254 | |
| **საპროცენტო სარგებლის ჯამური მგრძნობელობა** | (3,762) | (2,119) | (1,878) | (12,314) | 5,940 | |

## სააქციო საზოგადოება ბითიეი ბანკი

### ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
### 2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
*(ათასობით ლარში)*

| | 1 თვემდე | 1-დან 3 თვემდე | 3 თვიდან 1 წლამდე | 1-დან 5 წლამდე | 5 წელზე მეტი | 2010 წლის 31 დეკემბერი, სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | | | | | |
| ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 2,836 | - | - | - | - | 2,836 |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | 7,031 | 5,349 | - | - | - | 12,380 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 462 | 1,646 | 7,791 | 29,133 | 9,189 | 48,221 |
| გასაყიდად არსებული ინვესტიციები | 40 | - | - | - | - | 40 |
| დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები | - | 2,377 | 1,693 | 301 | - | 4,371 |
| სულ საპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსური აქტივები | 10,369 | 9,372 | 9,484 | 29,434 | 9,189 | 67,848 |
| არასაპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსური აქტივები | | | | | | |
| ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 2,990 | - | - | - | - | 2,990 |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | 2,850 | - | - | - | - | 2,850 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 124 | - | - | - | - | 124 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | 16,333 | 9,372 | 9,484 | 29,434 | 9,189 | 73,812 |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | | | |
| ვალდებულებები ბანკების მიმართ | 900 | - | - | - | - | 900 |
| ვალდებულებები კლიენტების მიმართ | 2,219 | 849 | 2,430 | 2,506 | 329 | 8,333 |
| სხვა ნასესხები სახსრები | - | - | - | 48,038 | - | 48,038 |
| სუბორდინირებული სესხი | - | - | - | 2,683 | - | 2,683 |
| სულ საპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსური ვალდებულებები | 3,119 | 849 | 2,430 | 53,227 | 329 | 59,954 |
| არასაპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსური ვალდებულებები | | | | | | |
| ვალდებულებები ბანკების მიმართ | 6 | - | - | - | - | 6 |
| ვალდებულებები კლიენტების მიმართ | 11,614 | - | - | - | - | 11,614 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 304 | - | - | - | - | 304 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **15,043** | **849** | **2,430** | **53,227** | **329** | **71,878** |
| ლიკვიდობა | 1,290 | 8,523 | 7,054 | (23,793) | 8,860 | |
| **ჯამური ლიკვიდობა** | 1,290 | 9,813 | 16,867 | (6,926) | 1,934 | |
| საპროცენტო სარგებლის მგრძნობელობა | 7,250 | 8,523 | 7,054 | (23,793) | 8,860 | |
| **საპროცენტო სარგებლის ჯამური მგრძნობელობა** | 7,250 | 15,773 | 22,827 | (966) | 7,894 | |

ზემოთხსენებულ ცხრილში დაფარვის პირობები შეესაბამება კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებს. თუმცა, ფიზიკურ პირებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ანაბრის ხელშეკრულება ვადაზე ადრე ძალაში მყოფი კანონის შესაბამისად.

შემდეგი ცხრილი დეტალურად წარმოადგენს ბანკის დარჩენილ საკონტრაქტო ვალდებულებებს ფინანსურ ვალდებულებებზე გადახდის წინასწარ შეთანხმებული პერიოდით. ცხრილი შედგა არადისკონტირებული ფულადი სახსრების შემოდინების საფუძველზე ბანკის მიერ მათი დაფარვის ყველაზე ადრეული თარიღის გათვალისწინებით. ცხრილი მოიცავს პროცენტისა და ძირითადი თანხის ფულადი სახრების მოძრაობას. იმის გათვალისწინებით, რომ საპროცენტო შემოსავლები ემყარება ცვლად საპროცენტო განაკვეთს, არადისკონტირებული თანხები გამომდინარეობს საპროცენტო განაკვეთის მრუდებიდან საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. კონტრაქტით გათვალისწინებული დაფარვის ვადა ემყარება ბანკის მიერ დაფარვის ყველაზე ადრეულ თარიღს.

## ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
## 2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
*(ათასობით ლარში)*

| | საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი | 1 თვემდე | 1-დან 3 თვემდე | 3 თვიდან 1 წლამდე | 1-დან 5 წლამდე | 5 წელზე მეტი | დეკემბერი 31, 2011 სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | | | | |
| ვალდებულებები ბანკების მიმართ | 6.53% | 6,047 | - | - | - | - | 6,047 |
| ვალდებულებები კლიენტების მიმართ | 9.32% | 6,000 | 739 | 9,653 | 2,080 | 657 | 19,129 |
| სხვა ნასესხები სახსრები | 11.89% | - | - | - | 60,603 | - | 60,603 |
| სუბორდინირებული სესხი | 9.00% | - | - | - | 2,799 | - | 2,799 |
| სულ საპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსური ვალდებულებები | | 12,047 | 739 | 9,653 | 65,482 | 657 | 88,578 |
| არასაპროცენტო სარგებლის მქონე ინსტრუმენტები | | | | | | | |
| ვალდებულებები ბანკების მიმართ | | 378 | - | - | - | - | 378 |
| ვალდებულებები კლიენტების მიმართ | | 9,466 | - | - | - | - | 9,466 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | | 235 | 49 | 63 | 67 | - | 414 |
| სულ არასაპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსური ვალდებულებები | | 10,079 | 49 | 63 | 67 | - | 10,258 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | | 22,126 | 788 | 9,716 | 65,549 | 657 | 98,836 |

| | საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი | 1 თვემდე | 1-დან 3 თვემდე | 3 თვიდან 1 წლამდე | 1-დან 5 წლამდე | 5 წელზე მეტი | დეკემბერი 31, 2010 სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | | | | |
| ვალდებულებები ბანკების მიმართ | 7.72% | 901 | - | - | - | - | 901 |
| ვალდებულებები კლიენტების მიმართ | 9.47% | 2,312 | 863 | 2,543 | 2,988 | 743 | 9,449 |
| სხვა ნასესხები სახსრები | 11.86% | - | - | - | 65,582 | - | 65,582 |
| სუბორდინირებული სესხი | 9.00% | - | - | - | 3,210 | - | 3,210 |
| სულ საპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსური ვალდებულებები | | 3,213 | 863 | 2,543 | 71,780 | 743 | 79,142 |
| არასაპროცენტო სარგებლის მქონე ინსტრუმენტები | | | | | | | |
| ვალდებულებები ბანკების მიმართ | | 6 | - | - | - | - | 6 |
| ვალდებულებები კლიენტების მიმართ | | 11,614 | - | - | - | - | 11,614 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | | 304 | - | - | - | - | 304 |
| სულ არასაპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსური ვალდებულებები | | 11,924 | - | - | - | - | 11,924 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | | 15,137 | 863 | 2,543 | 71,780 | 743 | 91,066 |

ზემოთხსენებული ფინანსური გარანტიის კონტრაქტებში მოყვანილი თანხა არის მაქსიმუმი, რაც ბანკს შეეძლო დაედგინა გარანტიის კონტრაქტების თანახმად, იმ შემთხვევაში თუ ეს თანხა მოთხოვნილია კონტრაგენტის მიერ გარანტიით. ანგარიშგების პერიოდის დასასრულისთვის არსებულ მოლოდინზე დაყრდნობით ბანკი მიიჩნევს, რომ შეთანხმებების თანახმად არ იქნება გადასახდელი არანაირი ვალდებულება. თუმცა, ეს ვარაუდი შეიძლება შეიცვალოს კონტრაგენტის მიერ გარანტიის თანახმად მოთხოვნის არსებობის ალბათობის მიხედვით, რაც შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ კონტრაგენტის გარანტირებული მოთხოვნები განიცდიდეს საკრედიტო დანაკარგებს.

**საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი არის ის რისკი, რომ ბანკის მოგება ან კაპიტალი, ან მისი უნარი მიაღწიოს ბიზნეს ამოცანებს მოექცევა უარყოფითი გავლენის ქვეშ, საბაზრო განაკვეთების ან ფასების ცვლილებების ან არასტაბილურობის შედეგად. საბაზრო რისკი მოიცავს საპროცენტო განაკვეთის რისკს, სავალუტო რისკს და ფასების გავრცელების სხვა რისკებს, რომელსაც ექვემდებარება ბანკი. ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია ბანკის მიერ რისკების გამოთვლის მეთოდებსა და რისკების მართვაში.

ბანკის სესხის კონტრაქტებისა და სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უმეტესობა ფიქსირებული საპროცენტო სარგებლის მატარებელია. ბანკი ახორციელებს საპროცენტო განაკვეთის მარჟის მონიტორინგს და შესაბამისად მიაჩნია, რომ არ ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკსა და ფულადი სახსრების მოძრაობის რისკს.

**საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობა**

ბანკი იღებს თავის თავზე რისკს, რომელიც დაკავშირებულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთების კოეფიციენტში მერყეობის დონეზე, მის ფინანსური მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე. საპროცენტო საზღვრები შეიძლება გაიზარდოს ასეთი ცვლილებების შედეგად მაგრამ შეიძლება შეამციროს ან შექმნას ზარალი მოულოდნელობების  წარმოქმნის შემთხვევაში. ხელმძღვანელობა აკვირდება ყოველდღიურად და ადგენს შეზღუდვების დონეს შეუსაბამო საპროცენტო განაკვეთის ხელახალ ფასზე, რომელიც შეიძლება განხორციელდეს.

ცხრილში მიმოხილულია ბანკის  საპროცენტო განაკვეთის ზემოქმედების რისკი. ცხრილში წარმოდგენილია ჯამური თანხები ბანკის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებით და დაყოფილია კატეგორიების მიხედვით სახელშეკრულებო პროცენტის ხელახალ ფასსა ან დაფარვის ვადებს შორის უპირველესის მიხედვით .

გავლენა მოგებაზე გადასახადის გადახდამდე აქტივების ღირებულებაზე დაყრდნობით 2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს:

| | დეკემბერი 31, 2011 | | დეკემბერი 31, 2010 | |
|---|---|---|---|---|
| | საპროცენტო განაკვეთი +1% | საპროცენტო განაკვეთი -1% | საპროცენტო განაკვეთი +1% | საპროცენტო განაკვეთი -1% |
| **ფინანსური აქტივები:** | | | | |
| ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 29 | (29) | 28 | (28) |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | 31 | (31) | 124 | (124) |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 718 | (718) | 482 | (482) |
| გასაყიდად არსებული ინვესტიციები | - | - | - | - |
| დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები | 35 | (35) | 44 | (44) |
| **ფინანსური ვალდებულებები:** | | | | |
| ვალდებულებები ბანკების მიმართ | (60) | 60 | (9) | 9 |
| ვალდებულებები კლიენტების მიმართ | (178) | 178 | (83) | 83 |
| სხვა ნასესხები სახსრები | (490) | 490 | (480) | 480 |
| სუბორდინირებული სესხი | (25) | 25 | (27) | 27 |
| **წმინდა ეფექტი მოგებაზე გადასახადის გადახდამდე** | **60** | **(60)** | **79** | **(79)** |

ეფექტი კაპიტალზე:

| | დეკემბერი 31, 2011 | | დეკემბერი 31, 2010 | |
|---|---|---|---|---|
| | საპროცენტო განაკვეთი +1% | საპროცენტო განაკვეთი -1% | საპროცენტო განაკვეთი +1% | საპროცენტო განაკვეთი -1% |
| **ფინანსური აქტივები:** | | | | |
| ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 25 | (25) | 24 | (24) |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | 26 | (26) | 105 | (105) |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 610 | (610) | 410 | (410) |
| გასაყიდად არსებული ინვესტიციები | - | - | - | - |
| დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები | 30 | (30) | 37 | (37) |
| **ფინანსური ვალდებულებები:** | | | | |
| ვალდებულებები ბანკების მიმართ | (51) | 51 | (8) | 8 |
| ვალდებულებები კლიენტების მიმართ | (151) | 151 | (71) | 71 |
| სხვა ნასესხები სახსრები | (417) | 417 | (408) | 408 |
| სუბორდინირებული სესხი | (21) | 21 | (23) | 23 |
| **წმინდა ეფექტი კაპიტალზე** | **51** | **(51)** | **66** | **(66)** |

## სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. სავალუტო რისკთან მიმართებაში, ბანკის ხელმძღვანელობა ადგენს შეზღუდვებს დაქვემდებარების დონეზე ვალუტების მიხედვით და ყოველდღიურად უწევს მონიტორინგს სავალუტო პოზიციებს.

ბანკის რისკი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადებადობასთან მიმართებაში წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

| | ლარი | აშშ დოლარი 1 აშშ დოლარი = 1.6703 ლარი | ევრო 1 ევრო = 2.1614 ლარი | სხვა ვალუტა | დეკემბერი 31 2011 სულ |
|---|---|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | | | | |
| ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 2,174 | 4,094 | 942 | 56 | 7,266 |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | 2,094 | 2,383 | 516 | 31 | 5,024 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 10,061 | 61,437 | 306 | - | 71,804 |
| დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები | 3,533 | - | - | - | 3,533 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 219 | 118 | 6 | 4 | 347 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **18,081** | **68,032** | **1,770** | **91** | **87,974** |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | | |
| ვალდებულებები ბანკების მიმართ | 6,413 | 7 | - | - | 6,420 |
| ვალდებულებები კლიენტების მიმართ | 6,715 | 18,569 | 1,942 | 10 | 27,236 |
| სხვა ნასესხები სახსრები | - | 49,047 | - | - | 49,047 |
| სუბორდინირებული სესხი | - | 2,528 | - | - | 2,528 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 217 | 197 | - | - | 414 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **13,345** | **70,348** | **1,942** | **10** | **85,645** |
| **ღია საბალანსო პოზიცია** | **4,736** | **(2,316)** | **(172)** | **81** | |

| | ლარი | აშშ დოლარი 1 აშშ დოლარი = 1.7728 ლარი | ევრო 1 ევრო = 2.3500 ლარი | სხვა ვალუტა | დეკემბერი 31 2010 სულ |
|---|---|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | | | | |
| ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 1,591 | 3,456 | 754 | 25 | 5,826 |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | 4,220 | 10,112 | 858 | 40 | 15,230 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 4,472 | 43,475 | 274 | - | 48,221 |
| გასაყიდად არსებული ინევსტიციები | 40 | - | - | - | 40 |
| დაფარვის ვადამდე ფლობილი ინევსტიციები | 4,371 | - | - | - | 4,371 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 124 | - | - | - | 124 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **14,818** | **57,043** | **1,886** | **65** | **73,812** |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | | |
| ვალდებულებები ბანკების მიმართ | 904 | 2 | - | - | 906 |
| ვალდებულებები კლიენტების მიმართ | 5,567 | 12,451 | 1,915 | 14 | 19,947 |
| სხვა ნასესხები სახსრები | - | 48,038 | - | - | 48,038 |
| სუბორდინირებული სესხი | - | 2,683 | - | - | 2,683 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 108 | 194 | - | 2 | 304 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **6,579** | **63,368** | **1,915** | **16** | **71,878** |
| **ღია საბალანსო პოზიცია** | **8,239** | **(6,325)** | **(29)** | **49** | |

## სავალუტო რისკის მგრძნობელობა

შემდეგი ცხრილი დეტალურად წარმოადგენს ბანკის მგრძნობელობას 10%-იან ზრდასა და შემცირებაზე ლარის უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში. 10% არის მგრძნობელობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისათვის უცხოური ვალუტის რისკზე ანგარიშის წარდგენისას და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების შეფასებას. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ არსებულ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ფულად ერთეულს და აკორექტირებს მათ გაცვლით კურსს პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტის განაკვეთის 10%-იანი ცვლილებით. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს გარე სესხებსა და სესხებს უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე ბანკში, სადაც სესხი დენომინირებულია მსესხებლის, ან კრედიტორის ვალუტისაგან განსხვავებულ ერთეულში.
ქვემოთ მოცემული პოზიტიური რიცხვი გვიჩვენებს მოგებისა და კაპიტალის ზრდას, სადაც ლარის კურსი მყარდება 10 პროცენტით შესაბამის ვალუტასთან შედარებით. ლარის შესაბამის ვალუტასთან მიმართებაში 10 პროცენტით შესუსტება გამოიწვევს სხვაობის გავლენას მოგებასა და კაპიტალზე და ქვემოთ მოცემული ბალანსები უარყოფითი იქნებოდა.

| | დეკემბერი 31, 2011 | | დეკემბერი 31, 2010 | |
|---|---|---|---|---|
| | ლარი/აშშ დოლარი +10% | ლარი/აშშ დოლარი -10% | ლარი/აშშ დოლარი +10% | ლარი/აშშ დოლარი -10% |
| გავლენა მოგებასა და ზარალზე გადასახადის გადახდამდე | (232) | 232 | (633) | 633 |
| გავლენა კაპიტალზე | (197) | 197 | (538) | 538 |

| | დეკემბერი 31, 2011 | | დეკემბერი 31, 2010 | |
|---|---|---|---|---|
| | ლარი/აშშ დოლარი +10% | ლარი/აშშ დოლარი -10% | ლარი/აშშ დოლარი +10% | ლარი/აშშ დოლარი -10% |
| გავლენა მოგებასა და ზარალზე | (17) | 17 | (3) | 3 |
| გავლენა კაპიტალზე | (14) | 14 | (3) | 3 |

*მგრძნობელობის ანალიზის შეზღუდვები*

ზემოთ მოცემული ცხრილები ძირითად დაშვებებში ცვლილებების შედეგების დემონსტრირებას ახდენს, მაშინ როდესაც სხვა დაშვებები რჩება უცვლელი. რეალობაში არსებობს კორელაცია დაშვებებსა და სხვა ფაქტორებს შორის. ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ მგრძნობელობის არ არის წრფივი და უფრო დიდი, ან მცირე გავლენა არ უნდა იქნას ინტერპოლირებული, ან ექსტრაპოლირებული ამ შედეგებიდან გამომდინარე.

მგრძნობელობის ანალიზი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ბანკის აქტივები და ვალდებულებები საკმაოდ აქტიურად იმართება. ამასთან, ბანკის ფინანსური მდგომარეობა შეიძლება იცვლებოდეს იმ დროისათვის, როდესაც ფაქტიური საბაზრო მოძრაობები იჩენს თავს. მაგალითად, ბანკის ფინანსური რისკის მართვის სტრატეგია მიზნად ისახავს საბაზრო რყევებისადმი დამოკიდებულების მართვას. ვინაიდან საინვესტიციო ბაზარს ახასიათებს სხვადასხვა ცვლილებების დონე მართვის ქმედებებმა შესაძლოა მოიცვას ინვესტიციების გაყიდვა, საინვესტიციო პორტფელის გადანაწილების ცვლილებები და სხვა დაცვითი ღონისძიებების განხორციელება. ამის შედეგად დაშვებებში ცვლილებების ფაქტიურ გავლენას შეიძლება არ ქონდეს ზეგავლენა ვალდებულებებზე, მაშინ როდესაც აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში საბაზრო ღირებულებით აღირიცხება. ასეთ გარემოებებში აქტივებისა და ვალდებულებების განსხვავებულმა შეფასებამ შეიძლება გამოიწვიოს სააქციო კაპიტალის ცვალებადობა.

სხვა შეზღუდვები მგრძნობელობის ანალიზში მოიცავს სავარაუდო საბაზრო მოძრაობების გამოყენებას პოტენციური რისკის დემონსტრირებისათვის, რომელიც წარმოადგენს ბანკის შეხედულებას ახლო მომავალში მოსალოდნელ საბაზრო ცვლილებებზე, რომელთა დარწმუნებით გათვალისწინება შეუძლებელია, და აგრეთვე მოსაზრებას, რომ ყველა საპროცენტო განაკვეთი ერთმანეთის მსგავსად მოქმედებს.

**საოპერაციო რისკი**

საოპერაციო რისკი წარმოადგენს ისეთი ზარალის რისკს, რომელიც გამოწვეულია სისტემების მწყობრიდან გამოსვლით, შეცდომებით, თაღლითობით თუ სხვა გარე მოვლენებით. როდესაც კონტროლები არასათანადოდ ფუნქციონირებს, საოპერაციო რისკმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს რეპუტაციაზე, გამოიწვიოს საკანონმდებლო დარღვევები ან ფინანსური ზარალი. შეუძლებელია ბანკის მიერ ყველა საოპერაციო რისკის აღმოფხვრა, თუმცა ბანკი მართავს ამ რისკებს კონტროლის სისტემის, პოტენციური რისკების მონიტორინგისა და მათზე რეაგირების მეშვეობით. კონტროლები მოიცავს მოვალეობათა სათანადოდ განაწილებას, წვდომის, ავტორიზაციისა და გადამოწმების პროცედურებს, თანამშრომელთა სწავლებისა და შეფასების პროცესებს.